ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## „ტყუილს ვერ ვიტყვი, კანდელაკების ოჯახი ერეკლეს მიმართ სულ ყურადღებას იჩენდა“

თარაშ კანდელაკი მოსამართლემ პატიმრობაში დატოვა



გვ.5

ოთხშაბათი, 16 სექტემბერი, 2020 №195 (8459) ფასი: 60 თეთრი

# „ოცნების“ ოცეული კალაძე-კობახიძის კლანია“



გვ.3

ლადო სადღობელაშვილი: „თუ „ოცნებამ“ რეიტინგი ვერ აიწია, საზღვრებს დაკეტავენ და მკაცრ რეგულაციებს დააწესებენ“



## „დაკლულ ცხვარსა და 5 კილო კიტრზე ჩვენი მოქალაქეები არ გაიყიდებიან“



გვ.4

კახა კოჟორიძე: „ქართული ოცნებისთვის“ პოლიტიკური განაჩენი უკვე გამოტანილია“

## „წამოვიდეს კალაძე „ოცნებიდან“ და მივიღოთ თუ არა ჩვენთან, განვიხილავთ“

გია ბარამიძე: „გიორგი ვაშაძის კომენტარი დაბოლმილი კაცის კომენტარს ჰგავს, მან თავის გაერთიანებებს სამჯერ უღალატა“



გვ.2



„ოქრიაშვილთან და ჩოჩელთან თანამშრომლობისას ყველა ფაქტორი გავითვალისწინეთ, მათ შორის ფინანსურიც“

## ირაკლი ღარიბაშვილი: „როგორ შეიძლება გონიერმა ადამიანმა სულელ, მანიაკ სააკაშვილს დაუჯეროს“





გვ.3

## კახა ოქრიაშვილი: „დარწმუნებული ვარ, გავიმარჯვებ, რადგან მაჟორიტარულ სისტემას ბოლომდე ვიცავდი“



გვ.4

## შინაგან საქმეთა მინისტრი ესპანეთის სამოქალაქო გვარდიის გენერალურ დირექტორს შეხვდა

გვ.5



ISSN 1987-9385

9 771987 938006

2 „ქალბატონმა ნატომ დატოვა „პატრიოტთა ალიანსი“ და ეს შეცდომის აღიარება იყო“

4 ზვიად ძიძიგური: „ხელისუფლებამ დასავლური პოლიტიკის წესები უნდა დაიცვას“

5 არჩილ გაგნიძე: „ყველაფერი სიყალბე და სიცრუეა, კაცი ვარ და გავუძლებ ამ ცხრათავიან უკანონობას“

6 ჩინეთს კორონავირუსის ვაქცინა ნოემბერში ექნება

# „წამოვიდეს კალაძე „ოცნებიდან" და მივიღოთ თუ არა ჩვენთან, განვიხილავთ"

## გია ბარამიძე: „გიორგი ვაშაძის კომენტარი დაბოღმილი კაცის კომენტარს ჰგავს, მან თავის გაერთიანებებს სამჯერ უღალატა"

იაგო ნაცვლიშვილი

**„ნაციონალური მოძრაობა" 4 პოლიტიკურ სუბიექტთან ერთად საარჩევნო ბლოკს ქმნის. ბლოკის შემადგენლობაში იქნებიან: „ნაციონალური მოძრაობა", „რესპუბლიკური პარტია", მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისთვის", მოძრაობა „ჩვენ თვითონ". ბლოკს შეუერთდა კახა ოქრიაშვილისა და ცეზარ ჩოჩელის ახალი პარტიაც — „პროგრესი და თავისუფლება".**



რას მოუტანს ეს ბლოკი „ნაციონალურ მოძრაობას", რატომ გააკეთეს არჩევანი კახა ოქრიაშვილსა და ცეზარ ჩოჩელზე, რომლებსაც ცოტა ხნის წინ აკრიტიკებდნენ და ხომ არ გამოიწვევს გარკვეულ დაძაბულობას ეს პარტნიორ პოლიტიკურ პარტიებთან? – ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი **გია ბარამიძე** საუბრობს:

***– ოთხ პარტიასთან ერთად ბლოკი შექმენით. რას მოგიტანთ ეს და რას ელოდებით ამ ბლოკისგან?***

– ეს ყველაფერი კეთდება გამარჯვებისთვის და გამარჯვებისკენ გადადგმული ნაბიჯია ეს. ამოცანა გამარჯვებაა და რახან ქართველ საზოგადოებას აქვს შანსი, რომ ამ არჩევნებით მშვიდობიანად, არჩევნების გზით მოვიცილოთ ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან დიდი საფრთხე ბიძინა ივანიშვილი, ეს უნდა გამოვიყენოთ. ამაზე თქვენთან მილიონჯერ მისაუბრია. მოგეხსენებათ, რა ტიპის საფრთხედ მივიჩნევთ ამ რეჟიმს. ეს არ არის მხოლოდ არაფორმალური მმართველობა და მხოლოდ ერთი მილიარდერი კაცი, რომელმაც ქვეყანა თავის შპს-დ აქცია და ჯიბეში ჩაიდო. ეს არის პირდაპირ რუსული მმართველობა და რუსეთის გეგმის შესრულება, რაც მიმდინარეობს ბიძინა ივანიშვილის ხელით.

***– რატომ მხოლოდ ოთხ პარტიასთან? „ძალა ერთობაშია" უფრო მსხვილი გაერთიანება იყო და რატომ შეჩერდით მხოლოდ ოთხ პარტიასთან?***

– ასეც არის. პარტიების ცალკეული წარმომადგენლები იქნებიან კიდეც ჩვენთან ბლოკში, მაგრამ ფორმალურად ასე გადავწყვიტეთ. ეს უფრო ხელსაყრელია ჩვენთვის, სხვადასხვა ტაქტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე.

***– ანუ, ვინც იყვნენ ბლოკში – ბაჩუკი ქარდავა, მურმან დუმბაძე და სხვები იქნებიან ბლოკში?***

– დიახ. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ მათ სიაშიც ნახავთ საკმაოდ საპატიო ადგილებზე.

***– თქვენმა ყოფილმა პარტნიორმა გიორგი ვაშაძემ თქვა, რომ ეს არის სვლა წარსულისკენო. რას უპასუხებდით ამას?***

– რატომაა სვლა წარსულისკენ? ჩვენ მისი გასვლის შემდეგ შემოგვემატა ორი მნიშვნელოვანი ძალა. წარსულისკენ სვლა რატომ არის?! დაბოღმილი კაცის კომენტარს ჰგავს და კაცის, რომელმაც უღალატა ამ გაერთიანებას. მისთვის, სამწუხაროდ, იმ გუნდის ღალატი პირველი არ არის, სადაც ის იყო და მერე მიატოვა. შეგახსენებთ, ჯერ „ნაციონალური მოძრაობა" მიატოვა, შემდეგ პოლიტიკურ ბიოგრაფიაში ჰქონდა პაატა ბურჭულაძის გაერთიანება, რომელიც ასევე მიატოვა და ბოლოს ჩვენი ფართო გაერთიანება. ასე რომ, ადამიანს მოკლე პოლიტიკურ ცხოვრებაში თავისი გაერთიანების მიტოვების გამოცდილება, სხვაზე უკმეხად საუბრის უფლებას არ უნდა აძლევდეს. მე ფაქტებზე ვსაუბრობ, ხომ არ ვიგონებ.

***– ბევრი კრიტიკა მოჰყვა თქვენს გადაწყვეტილებას, როდესაც გაერთიანდით კახა ოქრიაშვილის და ცეზარ ჩოჩელის პარტიასთან. ოქრიაშვილი პირდაპირ ასოცირდება პროპორციული სისტემის ერთ-ერთ შემოქმედად. ისიც გვახსოვს, რომ 2012 წელს, როგორც კი დამარცხდით არჩევნებში, ერთ-ერთი პირველი, ვინც პარტია დატოვა, სწორედ ის იყო. რატომ გააკეთეთ ეს სვლა?***

– მარტივი ასახსნელია. ამ უთანხმოებასთან და განსხვავებებთან დაკავშირებით, რაც ჩვენ შორის არის, იმ დიდ ამოცანასთან, რასაც ამ ხელისუფლების შეცვლა ჰქვია, ცა და დედამიწასავით განსხვავდება. არაფერია იმ მასშტაბთან შედარებით, რა მნიშვნელობის ამოცანაც უნდა გადაწყდეს. ანუ პუტინის მმართველობა უნდა მოვიცილოთ.

რახან საუბარი გქონდათ გოგიტა ვაშაძის შესახებ და ახსენეთ ოქრიაშვილის პარტიიდან წასვლა, გაგახსენებთ, რომ გოგიტა ვაშაძემაც მიგვატოვა მაშინ, როდესაც ჩვენ პარტიას ყველაზე მეტად უჭირდა. ღარიბაშვილი ლაპარაკობდა, რომ „ნაციონალური მოძრაობა" რადარებიდან გაქრა, ივანიშვილი და წულუკიანი ამბობდნენ, რომ მათი მიზანი ჩვენი პარტიის განადგურება იყო. შემდეგ, როდესაც მან გამოხატა ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი, მივიღეთ. განსხვავებები მეორეხარისხოვანია იმ დიდ ამოცანასთან შედარებით, რომ ეს რეჟიმი მშვიდობიანად მოვიცილოთ. ამხელა ძალაა კახა ოქრიაშვილი და ცეზარ ჩოჩელი.

***– რამხელა ძალაა?***

– როგორც ბიზნესმენები, ძალიან მნიშვნელოვანი ბიზნესმენები არიან და ალბათ საქართველოში ათეულში შევლენ. საბანკო სექტორს თუ არ ჩავთვლით.

***– ფული ხომ არ იყო გადამწყვეტი? ხომ არ დასჭირდა „ნაციონალურ მოძრაობას" მათი ფული წინასაარჩევნოდ?***

– ყველა ფაქტორი გავითვალისწინეთ, როგორც ადამიანური, ისე პოლიტიკური და ფინანსური, ისე მათი ბიზნესების მნიშვნელობა მთელი ქვეყნისთვის. ოლქებში, სადაც ისინი ძლიერად არიან წარმოდგენილები. რომელი იქნებოდა კარგი – მათ „ოცნებაზე" რომ ემუშავათ და მის წისქვილზე დაესხათ წყალი, თუ ოპოზიციის?



***– როდესაც საუბრობთ ბიზნესის მონოპოლიაზე და იმაზე, რომ „ოცნების" პირობებში პრაქტიკულად ყველა სახის ბიზნესი მონოპოლიზებულია, ამასთან არ ასოცირდებიან?***

– ყველა ბიზნესი მონოპოლიზებულიაო, ეს როდის ვთქვით? ასეთი სულელური ფრაზა პირველად გავიგე. ვინც ლაპარაკობს ასეთ სისულელეს, მათ ჰკითხეთ ეს. მით უმეტეს, ჩოჩელი რა ბიზნესშიც არის, ის ბიზნესი მონოპოლიზებული არ არის.

***– წამლების ბიზნესიც არ არის მონოპოლიზებული?***

– ეს არის ხელისუფლების მიერ გატარებული არასწორი პოლიტიკა, როდესაც ამ ბაზარზე სხვადასხვა კომპანიაა. ოქრიაშვილი მარტო ფარმაცევტული ბიზნესი ხომ არ არის? ის ასევე არის ჰოსპიტალურ ბიზნესშიც, სადაც ნამდვილად არ არის მონოპოლიზებული ბიზნესი. თუ რამე არასწორად ხდება და ჰოსპიტალები თანამშრომლებს ხელფასებს უგვიანებს, ეს ამ მთავრობის არასწორი პოლიტიკის გამო ხდება, რადგან ის უგვიანებს კომპანიებს თანხების გადახდას ხელშეკრულების შესაბამისად. მათზე თქმა, რომ ესენი მონოპოლისტები არიან და ამიტომ არიან მიუღებლები, არასწორი იქნება.

ჩვენთვის ბევრად მნიშვნელოვანია, რომ ეს ადამიანები გამოვაცალეთ „ქართულ ოცნებას" და გადმოვიყვანეთ ოპოზიციის მხარეს. ამ შემთხვევაში, რადგანაც ძალა მართლაც ერთობაშია და მთავარი ოპოზიციური პარტია ჩვენ ვართ და მნიშვნელოვანია, რომ ისინი ჩვენთან არიან. სასწორის ერთი პინიდან მოვხსენით ტვირთი და გადმოვიტანეთ მეორეზე. ეს არის გამარჯვების ფორმულა. ვინც გუშინ „ოცნების" მხარეს იყო, ის უნდა ჩამოვაცილოთ მას და გადმოვიყვანოთ ოპოზიციის მხარეს. ეს ეხება ბიზნესმენსაც, პოლიტიკოსსაც და რიგით ამომრჩეველსაც.



### „ოქრიაშვილთან და ჩოჩელთან თანამშრომლობისას ყველა ფაქტორი გავითვალისწინეთ, მათ შორის ფინანსურიც"

***– მაგ ლოგიკით, ივანიშვილმაც რომ დატოვოს „ქართული ოცნება" და ოპოზიციის მხარეს გადმოვიდეს, მიიღებთ?***

– საკუთარი თავის ოპოზიცია გახდეს?

***– თეორიულადაც ესეც ხომ შესაძლებელია, რომ ხელოვნურად გახდეს თავისი გუნდის ოპოზიცია?***

– არა. შეუძლებელია. ხელისუფლება რომ დატოვოს და ქუდი დაიხუროს, ამის წინააღმდეგი ნამდვილად არ ვიქნები, მაგრამ რასაც თქვენ მეკითხებით, ბოდიშს ვიხდი და სისულელეა და ეს თქვენც იცით.

***– თეორიულად პოლიტიკაში ყველაფერი „მოსულა".***

– არა, ეს პრაქტიკულადაც შეუძლებელია და თეორიულადაც.

***– კარგი. კალაძე რომ წამოვიდეს ოპოზიციაში, მიიღებთ?***

– ეს უკვე სხვა რაღაცაა. ივანიშვილი ამ ხელისუფლების წყაროა და კალაძე რომ წამოვიდეს... წამოვიდეს და მერე განვიხილავთ.

***– თქვენი პოლიტიკური პარტნიორია „ლეიბორისტული პარტია", რომელიც ამ გადაწყვეტილების გამო მწვავედ გაკრიტიკებთ. როგორ წარმოგიდგენიათ მათთან ურთიერთობა?***

– ვისაც მოეწონა ჩვენი ნაბიჯი ან არ მოეწონა, ამას მნიშვნელობა არ აქვს და ჩვენ გავაგრძელებთ მათთან ურთიერთობებს. ჩვენ ისედაც გვქონდა განსხვავებები და მომავალშიც გვექნება. რაც გვაერთიანებს ის, რაც არ იცვლება რაიმე გადაწყვეტილების მიღებით. გვაერთიანებს სურვილი, რომ მშვიდობიანად მოვიცილოთ პუტინისტური რეჟიმი. ამის ფონზე ჩვენ შორის განსხვავებები ფერმკრთალდება და პატარად გამოიყურება. ეს მაშინ წამოიწევს წინა პლანზე, რაც ამ რეჟიმს მოვიშორებთ და მერე შეიძლება ამის განხილვა. რაც საერთო ფორმატში განვიხილეთ, ის თანამშრომლობა შენარჩუნდება. კონკრეტულად კი გაყალბების საწინააღმდეგოდ მოქმედებები, ასევე მოეწერება ხელი ცალკეული პარტიებისგან როგორ გავატარებთ სასამართლო რეფორმას, პოლიციის და შსს-ს რეფორმას, სუს-ის რეფორმას. ცალკეული მოსაზრებებია განათლების თემასთან დაკავშირებით და ა. შ. ასევე უმნიშვნელოვანესი საკითხია, რომ ამ განსხვავებების მიუხედავად არც ერთი არ დავუჭერთ მხარს ივანიშვილს უმრავლესობის შესაქმნელად.

***– „ევროპული საქართველო" ამბობს ხოლმე სააკაშვილზე, რომ მას უნდა ერთპარტიული მმართველობა და ამ მიმართულებით ხომ არ არის თქვენი ეს გადაწყვეტილება?***

– რაც შეეხება ერთპარტიულ მმართველობას, ეს სისულელეა და თვითონაც კარგად იციან. 2020 წელია და სისტემიდან და მოსახლეობის გამოცდილებიდან გამომდინარე ეს ვერანაირად ვერ იქნება. ეს კარგად იციან, მაგრამ თითიდან გამოწოვილ საკითხზე საუბრობენ და ნამდვილად არ არის მათთვის ღირსების შემმატებელი. სააკაშვილსაც აქვს ნათქვამი, რომ ნაცმოძრაობამ რომც გაიმარჯვოს, არ ნიშნავს, რომ ერთპიროვნულად ავიღებთ პასუხისმგებლობის და ტვირთის ზიდვას. ქვეყანა ჭაობიდან ამოსაყვანია და რომელიმე პარტიამ ეს რომ მოინდომოს, სულელური ნაბიჯი იქნება. ყველას გვინდა გამარჯვება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ვინმეს ერთპარტიული მმართველობა უნდა. ეს თითიდან გამოწოვილი და ღია კარის მტვრევაა, რაში სჭირდებათ ეს ტყუილი მათ, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ პასუხი ამაზე მარტივია, რომ ეს არის მოგონილი თემა.

# „ქალბატონმა ნატომ დატოვა „პატრიოტთა ალიანსი" და ეს შეცდომის აღიარება იყო"

## სალომე სამადაშვილი ნატო ჩხეიძეზე





უქმნის თუ არა დისკომფორტს სალომე სამადაშვილს ფაქტი, რომ საარჩევნო სიაში ნატო ჩხეიძეც არის?

ნაციონალური მოძრაობის წევრმა „დღის კურიერის" ეთერში განაცხადა, რომ ნატო ჩხეიძის „პატრიოტთა ალიანსში" ყოფნა შეცდომა იყო, თუმცა, მთავარია, ესა თუ ის ადამიანი დღეს რა არჩევანს აკეთებს.

ჩხეიძემ „პატრიოტთა ალიანსი" დატოვა და ნაციონალურ მოძრაობასთან თანამშრომლობას აპირებს.

– ვფიქრობ, რომ თავის დროზე, საკმაოდ დიდი შეცდომა დაუშვა ქალბატონმა ნატო ჩხეიძემ, როდესაც „ქართული ოცნების" სატელიტ პარტიასთან გადაწყვიტა პოლიტიკური ასპარეზობა. მე, რა თქმა უნდა, არ მესმის ამ არჩევანის.

ამასთან, ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს ისიც, მისი ოჯახი არის ბიძინა ივანიშვილის მხრიდან პოლიტიკური შევიწროების და დევნის ობიექტი. ისიც ძალიან კარგად გვახსოვს, რომ საკუთარი მნიშვნელოვანი წვლილი მათ შეიტანეს იმაში, რომ დღეს ქვეყანაში არსებობს მნიშვნელოვანი, დამოუკიდებელი ტელეარხი.

მე, ცხადია, ვერ გავიზიარებ ყველა მომენტს და ყველა შტრიხს სხვადასხვა ადამიანების ბიოგრაფიის, რომლებიც დღეს ნაციონალური მოძრაობის გარშემო შეიძლება შეიკრიბონ ან ჰქონდეთ სურვილი ჩვენთან თანამშრომლობის. საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვანია ის, რა არჩევანს აკეთებს ესა თუ ის ადამიანი დღეს.

ქალბატონმა ნატომ დატოვა „პატრიოტთა ალიანსი" და ვფიქრობ, რომ ეს იყო აღიარება, რომ შეცდომა იყო. ვფიქრობ, საკუთარ შეცდომებზე სასაუბროდ უნდა მოიწვიოთ ის ადამიანები, ვისი ბიოგრაფიაც თქვენთვის საინტერესოა, მე მხოლოდ საკუთარ ბიოგრაფიაზე ვარ პასუხისმგებელი, – განაცხადა სალომე სამადაშვილმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნების“ ოცეული კალაძე-კობახიძის კლანია“

## ლადო სადღობელაშვილი: „თუ „ოცნებამ“ რეიტინგი ვერ აიწია, საზღვრებს დაკეტავენ და მკაცრ რეგულაციებს დააწესებენ“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.**



***– ლადო, პანდემიის გავრცელების თვალსაზრისით ქვეყანაში მძიმე ფონია. საზოგადოებაში კი დიდი პროტესტი. საზოგადოების ნაწილს სჯერა, რომ ეს პროცესი პოლიტიზებულია და არჩევნებს უკავშირდება, მეორე ნაწილი კი საკმაოდ შეშინებულია. თქვენი დამოკიდებულება როგორია ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

– ეს პროცესი რომ მთლიანად პოლიტიზებულია, ამაზე არა მხოლოდ ის მეტყველებს, რომ ახლა მოიმატა საეჭვოდ ამ რიცხვებმა. ასევე საეჭვოდ ჩანს ექიმების ასე დაახლოება მთავრობასთან. თითქოს ერთ გუნდად არიან წარმოდგენილი. ერთმანეთის პრეზენტაციებსაც ესწრებიან. მაჟორიტარების წარდგენა იყო თუ ოცეულის, ყველგან ესწრებოდნენ ეს ექიმები. როცა პიკი იყო, აპრილში, მაისსა და ივნისში, მაშინ არ მიდიოდა ამხელა გატესტვა. თვეში საშუალოდ ათასი იყო. ხოლო ბოლო თვენახევარში გაკეთდა 5 ათასი ტესტი. რას ნიშნავს ეს?!

***– რას ნიშნავს?***

– ძალიან კარგად იციან, თუ ტესტი გაკეთდება, ალბათობა იმისა, რომ დადასტურებული შემთხვევები ამოვარდეს, უფრო მაღალია. რატომ დაიწყეს ასე მასობრივი დატესტვები ახლა?! რატომ არ ტესტავდნენ ასე ივნისში, მაისში, აპრილში?!

***– რატომ?***

– პასუხი არის მარტივი, რომ ახლა ამოვარდეს რაც შეიძლება მეტი შემთხვევა. რადგან თუ მათ ვერ შეძლეს და თავისი რეიტინგი ვერ აწიეს, მაშინ დააწესებენ რეგულაციებს. მე მაქვს



**„მთავრობამ წარმოსახვითი კრიზისი შექმნა. საეჭვოდ ჩანს ექიმების ასე დაახლოება მთავრობასთან. თითქოს ერთ გუნდად არიან წარმოდგენილი“**

შიდა კულუარი ინფორმაცია, ზუსტი, რომ ამ ეტაპზე „ქართულ ოცნებას“, ყველა კვლევის მიხედვით, აქვს მაქსიმუმ 40%. მაქსიმუმ 40% ნიშნავს, რომ მაჟორიტარების მხოლოდ 60%-ს გაიყვანენ. გამოდის, რომ მათ არ ყოფნით პროცენტულად, რომ 76 ადამიანი შეაგროვონ და უმრავლესობა შექმნან. აქედან გამომდინარე სჭირდებათ ვითარების დაძაბვა.

***– შექმნან კრიზისი და მერე განმუხტონ?***

– რა თქმა უნდა. ოღონდ წარმოსახვითი კრიზისი შექმნეს, წარმოსახვითი იმიტომ, რომ საქართველო ნამდვილად არ არის დღეს იმ სიტუაციაში, რომ ასეთი პანდემია ცხადდებოდეს. თუმცა მათ შექმნეს ხელოვნურად ეს ვითარება იმისთვის, რომ ხალხი მაქსიმალურად დაიზაფროს და ამ ფონზე მაშველ რგოლად მოგვევლინოს ჩვენი მთავრობა. ეს არის ყველაზე დიდი მარაზმი, რაც ახლა ხდება. თუ „ოცნებამ“ რეიტინგი ვერ აიწია, საზღვრებს დაკეტავენ და მკაცრ რეგულაციებს დააწესებენ, რათა მათი მომატებული პროცენტები არავინ გააპროტესტოს. მაქსიმალურად შეეცდებიან, რომ საზოგადოების ხმა ჩაახშონ. არის კიდევ ერთი ვარიანტი...

***– რომელი ვარიანტი?***

– რომ არჩევნები რამდენიმე თვით გადადონ. ბურჯანაძის პარტიიდან უკვე გაისმა მსგავსი განცხადებები, ხომ არ ჯობს არჩევნები გადაიდოსო.

***– როდესაც ასეთი მატება წავიდა, მაშინვე გაჩნდა კითხვა, ხომ არ გადაიდება არჩევნები?***

– ორი ვარიანტია, ან თავიდანვე გადადებენ არჩევნებს, ან დაიწერენ მაღალ არარსებულ პროცენტებს და ეს რომ ხალხმა არ გააპროტესტოს, გამოიყენებენ საგანგებო ღონისძიებებს. აი ეს არის მთელი ალია-ბალია ამ ყველაფრის!

***– თავად ასე ხსნის ხელისუფლება ამ ყველაფერს, რომ გაჩნდა ახალი კლასტერები და იმატა დაინფიცირებულთა რიცხვმა. რომ აჭარამ ქნა რაც ქნა და ასე შემდეგ.***

– წარმოიდგინეთ რა ქნეს? მათ დახურეს სვანეთი და გახსნეს საზღვრები. ეს რატომ გააკეთეს, არავის გაუჩნდა კითხვა? მით უმეტეს მაშინ, როდესაც ასეთ სიტუაციის დროს მთას აღებენ და ზღვას კეტავენ. ზღვა ყოველთვის ინფექციის წყაროა, ნორმალურ სიტუაციაშიც კი. ამათმა კი პირიქით გააკეთეს. თითქოს მიზანმიმართულად ხელი შეუწყვეს ვირუსის გავრცელებას და ახალი ბუდეების გაჩენას. გაცილებით მაღალი მაჩვენებელი იყო აჭარაში, ვიდრე სვანეთში, მაგრამ მაინც არ ჩაკეტეს ბათუმი. ეს კითხვებს არ აჩენს?! მაქსიმალურად მიუშვეს სიტუაცია.

***– მიზანმიმართულად ქნეს?***

– ზუსტად რომ ასეა. გარდა ამისა, ძალიან საეჭვოდ ემთხვევა ტელევიზიებში ჟურნალისტების დაინფიცირება. ჟურნალისტები უფრო ცნობადი სახეები ხართ, ხალხს სჯერა თქვენი. ამიტომ მეტი დამაჯერებლობისთვის, ერთ ხმაში აამღერეს. გარდა ამისა, ყოველდღე ლაივებს რთავენ კლინიკებიდან და წერენ ამ ყველაფერზე. ისინი საზოგადოების უფრო დიდ ნაწილს აწვდენენ ხმას და ამას რომ ხელი შეუწყონ, ამიტომ ჟურნალისტები დაავადდნენ მაინცდამაინც.

***– თქვენ არ გჯერათ ამ ყველაფრის?***

– ზედმეტად გადაამლაშეს. ვირუსის არსებობის როგორ არ მჯერა, მაგრამ ის არ არის მომაკვდინებელი, არ არის ტერორისტი ვირუსი, როგორადაც გვიხატავენ. ისეთ სიმპტომებს ყვებიან, რომ ერთი ერთში ემთხვევა ჩვეულებრივი ვირუსის ნიშნებს. მე არ მინდა, რომ საზოგადოებას ჩემი აზრი თავს მოვახვიო, ან შეცდომაში შევიყვანო, კი ბატონო, კორონავირუსი არსებობს, როგორ სხვა ვირუსი, ისიც მავნებელია, მაგრამ ისეთი არ არის, როგორადაც გვიხატავენ. მე საქართველოს მოქალაქეებს ვეტყოდი, რომ ნუ იქნებოდნენ ასე მორჩილად, ბრმად დამჯერები, როგორადაც დღეს არიან.

***– ლადო, არჩევნების გადადება ახსენე და ამის რა შანსებია, რომ არჩევნები გადაიდოს?***

– მე ეს ერთ-ერთ ვარიანტად განვიხილე. თუ არჩევნები გადაიდო, ეს იმას ნიშნავს, რომ „ქართული ოცნების“ რეიტინგი 40%-ია, ან მის ქვემოთ. თუ 45%-ზე აწია რეიტინგი, არჩევნებს არ გადადებს. ნიშანდობლივია ისიც, რომ სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები, ქვედა რგოლებში უკვე თვითონვე



საუბრობდნენ ამაზე. რადგან ქვედა რგოლები საუბრობენ, ე.ი. ეს დავალება მაღალი რგოლებისგან მიიღეს. ოპოზიციას არ აწყობს ასეთი არჩევნების ჩატარება.

***– არის ასეთი მოსაზრება, რომ ოპოზიციას უფრო აწყობს არჩევნების გადადება, ვიდრე ხელისუფლებას, რადგან ხელისუფლების რეიტინგი კოვიდის პირობებში უფრო მაღალიაო.***

– კი, ასეა. კრიზისის დროს ხელისუფლება უფრო მეტ ყურადღებას იჩენს ხალხის მიმართ, ოპოზიცია კი ჩრდილში რჩება. ამიტომ შესაძლოა ხელისუფლებამ სულ არ გადადოს არჩევნები, პროცენტები შესაბამისი დაიწეროს და მერე შეზღუდოს ხალხის გარეთ გამოსვლა და პროტესტი. ისეთი კანონი მიიღეს, რომ პარლამენტის თანხმობაც აღარ სჭირდებათ, ისე გამოაცხადებენ საგანგებო მდგომარეობას.

***– „ოცნების“ პირველმა ოცეულმა რა შთაბეჭდილება დატოვა?***

– ძალიან საწყენია ეს ყველაფერი. ამ სახეების ფონზე, ბიძინა ივანიშვილი გამოდის და იძახის, რომ ჩვენ ხალხს შრომას და თავდადებას ვუფასებთო. ერთი ძალიან მაინტერესებს, ამ ოცეულიდან რომელი იყო თავდადებული?! მე ასეთი ვერც ერთი ვერ ვნახე იქ. მე ვნახე ვაზელინიანი ადამიანები, რომლებსაც ეს ვაზელინობა დაუფასდათ. პარტიული კადრებიც კი არ ჰყავდათ წარმოდგენილი. ეს იყო ნეპოტიზმით შედგენილი სია. სხვათა შორის, ამ ოცეულში გახარიას არც ერთი კადრი არ იყო. კალაძის კადრები და ყველაზე მძლავრად კი კობახიძის კლანი. ასევე ვიხილეთ წულუკიანთან ერთად მისი მოადგილე ამ სიაში. რაც იმას ნიშნავს, რომ ის მინისტრი აღარ იქნება და მოადგილიანად პარლამენტში გადმოინაცვლებს.

***– რა მოლოდინი გაქვთ, რას მივიღებთ 31 ოქტომბრის შემდეგ?***

– ერთი რამ შემიძლია გითხრათ, რომ ოპოზიციის დიდი ნაწილი გაყიდულია. ნაწილს პარლამენტში შეიყვანს ბიძინა და ამით გააჩუმებს და ნაწილს კი ტორტის ნაჭერს უწილადებს. ფულს ვგულისხმობ. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ძირითადი ოპოზიცია არჩევნებს შეეგუება და ხმას არ ამოიღებს. თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, სიტუაცია უმართავ ხასიათს არ მიიღებს.

***– კოალიციას შექმნიან?***

– ძირითადი მასა თანხმდება იმაზე, რომ მთავრობა უნდა იყოს კოალიციური. კოალიციური მთავრობა ხალხს უფრო მეტ ბერკეტს მისცემს იმისთვის, რომ ხალხის ინტერესი იყოს გატარებული. ეს ყველაზე კარგი გამოსავალი იქნება. არიან პარტიები,რომლებიც დათანხმდებიან ხელისუფლებასთან კოალიციას. წესით, „ოცნება“ ასე ერთპიროვნულად მოსვლას ველარ გაბედავს.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „როგორ შეიძლება გონიერმა ადამიანმა სულელ, მანიაკ სააკაშვილს დაუჯეროს“

## „ივანიშვილის მსგავსი დემოკრატი მმართველი საქართველოს არ ჰყოლია“

– ერთპარტიული მმართველობა არ არის უკანონო და არ არის ანტიდემოკრატიული მმართველობა. თანამედროვე სამყარო არაერთ სისტემას იცნობს და მე მინდა გითხრათ, რომ მცდარი აზრია, რომ ერთპარტიული მმართველობა არის დამღუპველი.

ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემა „დღის ნიუსრუმში“ განაცხადა.

მან ისაუბრა „ქართული ოცნების“ მმართველობის რვა წელზე და აღნიშნა, რომ ქვეყანაში მშვიდობამ დაისადგურა.

თავდაცვის მინისტრის თქმით, რომ არა ბიძინა ივანიშვილი და მისი ორგანიზებით დაწყებული კამპანია, ქვეყანაში სააკაშვილის დიქტატორული რეჟიმის შეცვლის არავითარი შანსი არ არსებობდა.

– ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ 8 წლის წინ, დემოკრატიის არავითარი ნიშანწყალი არ შეინიშნებოდა. 8 წლის წინ ჩვენი ქვეყანა ცხოვრობდა თითქმის უკვე გაფორმებულ დიქტატურაში. ჩვენს მოსახლეობას, რომ არა ჩვენი პარტიის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი და მისი ორგანიზებით დაწყებული კამპანია, რა თქმა უნდა, სააკაშვილის დიქტატორული რეჟიმის შეცვლის არავითარი შანსი არ ჰქონდა. მე მინდა მივმართო ყველას, დავფიქრდეთ, რა პირობებში ვცხოვრობდით მაშინ. ის საქართველო შევცვალეთ და მთავარი გარდამტეხი ცვლილებები მოხდა 2012 წელს. ჩვენს ხალხთან ერთად შეუძლებელი შეძლო „ქართულმა ოცნებამ“ და ბიძინა ივანიშვილმა, რომ ეს დიქტატურა



მოეშორებინა ქვეყნის სათავეებიდან, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, ბიძინა ივანიშვილის მსგავსი დემოკრატიული მმართველი საქართველოს არ ჰყოლია.

– გავიხსენოთ, როგორი იყო წინა ხელისუფლების დემოკრატიულობა, მედიის თავისუფლება, ბიზნესის თავისუფლება და ა. შ. დღეს, ჩვენ სრული პასუხისმგებლობით უნდა ვთქვათ, რომ ბიძინა ივანიშვილის მსგავსი დემოკრატიული მმართველი ჩვენს ქვეყანას არ ჰყოლია და კიდევ დიდი ხნის განმავლობაში არ ეყოლება. მთავარი მიღწევები, რაც „ქართული ოცნების“ მმართველობამ მოიტანა ჩვენი ქვეყნისათვის: პირველი, ეს არის ჩვენი მოქალაქეების სრული თავისუფლება, რომელიც იყო სანატრელი 2012 წლამდე. მეორე არის მშვიდობა – მშვიდობამ დაისადგურა ქვეყანაში და ასევე, სტაბილურობა, – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდი არის ერთადერთი პერიოდი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, როცა ქვეყანაში არ მომხდარა ომი და არ დაკარგულა ტერიტორიები.

– რაც შეეხება „ქართული ოცნების“ პოზიციებს. ჩვენი ქვეყანა მუდმივად იყო გახვეული ომებსა და კონფლიქტებში. შეიძლება სათქმელად მარტივი იყოს, რა კარგია მშვიდობა და სტაბილურობა, მაგრამ გადავხედოთ, როგორ მოვედით აქამდე და ვინ განაპირობა ეს მშვიდობა და სტაბილურობა. ამას მართავს გონიერი ადამიანი და გონიერი მმართველი. 8 წლიანი პერიოდი, ჩვენი დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, არის ერთადერთი პერიოდი, როდესაც ჩვენს ქვეყანას არც ომი ჰქონია, არც ტერიტორიები დაუკარგავს და არანაირი დესტაბილიზაციის ნიშანი არ არსებობს ქვეყანაში, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

მან მიხეილ სააკაშვილზეც ისაუბრა.

– ჭკვიანმა, გონიერმა ადამიანმა, როგორ შეიძლება, ამ მართლაც სულელ, მანიაკ ადამიანს დაუჯეროს. ეს ხომ იგივეა, ქრისტიანმა ეშმაკის აღსარება და ბოდიში დაიჯეროს – ჩემთვის იგივეა ამ პატარა და გაუგებარი არსების ნათქვამი, – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილი არა თუ ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდება, არამედ აქტიურ პოლიტიკაშიც ვერ დარჩება.

– „მიშისტი“, მიშას ამომრჩეველი უკვე სექტანტად გადაიქცა. ჩვენ ვუყურებთ, როგორ მცირდება მისი ამომრჩეველთა რაოდენობა და ყალიბდება საშიშ სექტად. ამ სექტის წარმომადგენლები იყვნენ იგივე მელია და სხვები, რომლებიც პარლამენტის აღებას ლამობდნენ.

მიხეილ სააკაშვილი არა თუ ვერ დაბრუნდება ხელისუფლებაში, არამედ ვერ დარჩება აქტიურ პოლიტიკაში. თუ რატომ, ამას ვიხილავთ არჩევნების შემდეგაც.

ეს ადამიანი, რომელმაც უზარმაზარი ნგრევა, ზიანი და ტერიტორიების დაკარგვა მოუტანა ჩვენს ქვეყანას, რომელმაც შეარცხვინა ჩვენი ხალხი, ჩვენი ჯარი და შეურაცხყოფა მიაყენა მომავალ თაობას, ჩიხში შეიყვანა, ახლო პერსპექტივაში



ტერიტორიების დაბრუნების შანსიც კი მოუსპო, რა თქმა უნდა, არ იმსახურებს არა თუ ხელისუფლებაში დაბრუნებას, არამედ პოლიტიკაში დარჩენას.

ეს არის უდიდესი სიბრიყვე, ვინმემ, რომელიმე ჭკუათმყოფელმა დაიჯეროს, რომ ეს სულელი კაცი შეძლებს საქართველოში დაბრუნებას. როგორ უნდა დაბრუნდეს? ის არის ძებნილი, გასამართლებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მართლმსაჯულების მიერ. რომელ დანაშაულებებში? – გირგვლიანის საქმე, 26 მაისის საქმე, გელაშვილის მკვლელობამდე მიყვანა და ა.შ.“ – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.



**შევიძენ**
**ძველ ანტიკვარულ ნივთებს,**
**ნახატ სურათებს,**
**ძველ წიგნებს და ფაიფურს.**
**ტელ.: 598-43-98-57**

# „დაკლულ ცხვარსა და 5 კილო კიტრზე ჩვენი მოქალაქეები არ გაიყიდებიან“

## კახა კოჟორიძე: „ქართული ოცნებისთვის“ პოლიტიკური განაჩენი უკვე გამოტანილია“

ნათია ხურცილავა



**„ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერი კახა კოჟორიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო კახა, ევროპარლამენტარებმა ხელისუფლებას არჩევნების თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარებისკენ მოუწოდეს. ასევე, მზად არიან სადამკვირვებლო მისიაც გამოაგზავნონ თუ ეპიდემიური სიტუაცია მისცემთ ამის შესაძლებლობას. ელოდით ამ გამოხმაურებას?***

– ხელისუფლება შესაცვლელია და ამას ხედავს არა მხოლოდ ქართველი ხალხი, არამედ ჩვენი ევროპელი მეგობრებიც, რომლებიც რომელიმე პარტიის მეგობრები კი არ არიან, ქვეყნის მეგობრები არიან. ამიტომაც აკეთებენ და აკეთებდნენ ქვეყნის მხარდამჭერ განცხადებებს.

საქართველოში ჩრდილოვანი, ოლიგარქიული მმართველობა საფრთხეს უქმნის ჩვენს დემოკრატიას, ჩვენს განვითარებას, რასაც კარგად ხედავენ ჩვენი დასავლელი მეგობრები და ეს პირდაპირ წერია ევროპარლამენტარების განცხადებებში. დიპლომატები, მიუხედავად იმისა, რომ თავიანთ განცხადებებში მოზომილები არიან და დიპლომატიურად ამბობენ სათქმელს, ეს განცხადებები, პირიქით, მკაცრი ტონით გამოირჩევა. ეს გზავნილები, შეიძლება ვთქვა, რომ მათი მხრიდან განაჩენის გამოტანის ტოლფასია ხელისუფლებისთვის. ყველა ხედავს, რომ საქართველოს ცვლილებები სჭირდება. „ქართული ოცნებისთვის“ პოლიტიკური განაჩენი უკვე გამოტანილია და მისი აღსრულება ქართველი ხალხის ხელშია.

***– პანდემიის გამო შეიძლება დამკვირვებლების გარკვეული რაოდენობა ვერ ჩამოვიდეს. შეიძლება ეს პრობლემა იყოს?***

– კოვიდინფექციამ შეიძლება ამ პროცესში გარკვეული კორექტივები შეიტანოს. სადამკვირვებლო მისიის მასშტაბი შეიძლება მართლაც შემცირდეს. თუმცა, ეს რეალობას ვერ შეცვლის. ევროპული ინსტიტუტები, მიუხედავად იმისა თუ რამდენი დამკვირვებლები ეყოლებათ საქართველოში, მაინც სათანადოდ იქნებიან ინფორმირებულები. ჩვენ ახლაც ვაწვდით ინფორმაციას იმ დარღვევების შესახებ, რომელიც უკვე არსებობს.

უკვე იყო კონკრეტული ფაქტები „ლელოს“ წევრებზე, როდესაც ფიზიკური ანგარიშსწორება და თავდასხმა მოხდა. ასევე იყო შანტაჟი და მუქარა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებით. ასევე იყო ზუგდიდში მოსყიდვის მცდელობა. რა თქმა უნდა, ამ ფაქტებს აღვრიცხავთ და ვაწვდით როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ინსტიტუტებს. ამიტომ ვამბობ, რომ რა მასშტაბის იქნება სადამკვირვებლო მისია, ამას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ჩვენ, ცხადია, ვერ მოვთხოვთ ევროპელ მეგობრებს, რომ რისკის ქვეშ დააყენონ თავი და ჩამოვიდნენ არჩევნებზე დამკვირვებლებად.

გადამწყვეტი ბრძოლა ქართველი ხალხის ხელშია. ჩვენი და ჩვენი ქვეყნის მომავალი ჩვენ თვითონ უნდა შევქმნათ. რა თქმა უნდა, ამ პროცესს ევროპული ინსტიტუტები დააკვირდებიან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც რომელიმე საარჩევნო ოლქის რომელიმე უბანზე უნდა იყვნენ, რომ პროცესს დააკვირდნენ. ამის განსაკუთრებული აუცილებლობა არ არის. საარჩევნო დარღვევების დაფიქსირება მობილური ტელეფონით ყველას შეუძლია. არც ერთი ნაბიჯის უკან გადადგმას არ ვაპირებთ, ბოლომდე ვიბრძოლებთ. დიდი სურვილი მაქვს, რომ ეს ბრძოლა არ იყოს ფიზიკური და იყოს იდეების, პროგრამების ბრძოლა, მაგრამ ყველაფრისთვის ვართ მზად.

***– როგორც იურისტს, გეკითხებით: რა შემთხვევაში შეიძლება საერთაშორისო საზოგადოებამ არჩევნების ლეგიტიმაცია ეჭვქვეშ დააყენოს?***

– თუ იქნება მასობრივი დარღვევები. მასობრივი დაშინების ფაქტები, მასობრივი მოსყიდვის ფაქტები. რაც უკვე ფიქსირდება.

***– „ოცნება“ საპასუხოდ ამბობს, ეს არ სჭირდებათ, რადგან ისედაც იგებენ.***

– თუ არ სჭირდებათ, მაშინ დახმარებებს რატომ არიგებენ სწორედ 6 თვის განმავლობაში, რომელიც საარჩევნო პერიოდს ემთხვევა?! კიტრი, პომიდორიც კი რიგდება უფასოდ. ცხვრის დაკვლის ფაქტებიც კი არის. ერთი რამის თქმა შემიძლია, რომ სასწორზე ჩვენი ქვეყნის მომავალი დგას და დაკლულ ცხვარსა და 5 კილო კიტრზე ჩვენი მოქალაქეები არ გაიყიდებიან. „ოცნებას“ 2012 წლიდან დღემდე 6 არჩევნები აქვს მოგებული, მაგრამ ვერაფერი ვერ შეცვალა. იმედი მაქვს, რომ ამას კარგად გააცნობიერებენ მოქალაქეები, რომ ისინი შესაცვლელები არიან.

***– „საერთო სასამართლოების“ შესახებ კანონში ცვლილებები უმრავლესობის წევრების მიერ დაჩქარებული წესით დარეგისტრირდა. როგორ ფიქრობთ, რატომ?***

– რა ცვლილებებიც არ უნდა შევიდეს „ქართული ოცნების“ მიერ მიღებულ ამ კანონში, ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მე ეს საკითხი კარგად ვიცი. ამ საკითხზე წლების განმავლობაში ვმუშაობდი სხვადასხვა დონეზე.

მთავარი პრობლემა არა იმდენად კანონშია, არამედ, თუ ვინ აღასრულებს მას. ამ კანონის აღსრულება მაფიოზებს ჩააბარეს და პრობლემა სწორედ ესაა. კლანს, ჩინჩალაძეს, მურუსიძეს რა კანონიც არ უნდა დაუწერო, რა მნიშვნელობა აქვს?!

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, „ქართული ოცნების“ ხელში არანაირი კანონის ცვლილება არ მოხდება სასამართლო სისტემის გაუმჯობესებისთვის. ახლა არის მცდელობა უკვე გაფუჭებული პროდუქტის ბრჭყვიალა ქაღალდში გახვევის. შეფუთვის მცდელობაა, რომ გარეთ თავი მოიწონონ. პრობლემა მმართველობით რგოლშია, რომელიც „ოცნების“ ბოსების დაკვეთას ასრულებს.

გამოსავალი არჩევნებშია. გამოსავალი ამ კონკრეტული ადამიანების დათხოვნასა და რეალურ რეფორმაშია. ჩემი მთავარი მოტივაცია, რატომაც გადავდგი ნაბიჯი პოლიტიკისკენ, სწორედ სასამართლო სისტემაში რეალური ცვლილებების გატარებას უკავშირდება.

# კახა ოქრიაშვილი: „დარწმუნებული ვარ, გავიმარჯვებ, რადგან მაჟორიტარულ სისტემას ბოლომდე ვიცავდი“

მმართველი გუნდის ყოფილი „ამბოხებული“ დეპუტატი და „ძალა ერთობაშიას“ საარჩევნო ბლოკის წევრი, კახა ოქრიაშვილი დარწმუნებულია, რომ არჩევნებში გაიმარჯვებს, რადგან საარჩევნო სისტემის ცვლილებების დროს, ბოლომდე მაჟორიტარულ არჩევნებს უჭერდა მხარს.

– დარწმუნებული ვარ, რომ მე გავიმარჯვებ და რატომ იცით?! იმიტომ ვარ დარწმუნებული, რომ ერთადერთი ადამიანი ვარ, ვინც ბოლომდე ვიცავდი მაჟორიტარულ არჩევნებს და ჩემებმა, ყველა კონკურენტმა ხმა მისცა მაჟორიტარული არჩევნების გაუქმებას, ანუ ხალხს წაართვა უფლება, რომ მათ საკუთარი დეპუტატი ჰყავდეთ, – თქვა კახა ოქრიაშვილმა.

კახა ოქრიაშვილი „ძალა ერთობაშიას“ 4 სექტემბერს შეუერთდა, გუშინ, 15 სექტემბერს კი ბლოკმა მაჟორიტარობის 5 კანდიდატი წარადგინა.

ოქრიაშვილი კენჭს ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის ოლქში იყრის. გუშინვე დაპირისპირება იყო დმანისში, დეპუტატ კახა ოქრიაშვილის საარჩევნო შტაბის წევრებსა და ე.წ. ზონდერ ჯგუფს შორის. მობილურით გადაღებულ კადრებში კარგად ჩანს ის პირები, რომლებიც ოქრიაშვილის შტაბის წევრებს თავს ესხმიან.

ფიზიკური დაპირისპირების შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა ტვინის შერყევა მიიღო და საავადმყოფოში გადაიყვანეს.

– ზურაბ ოკლემაშვილი, რომელიც აგრესიულად იქცევა, აშინებს ადამიანებს, ცდილობს, რომ საარჩევნო პოზიციები შეაცვლევინოს ძალით. თავს დაესხნენ ერთ-ერთ პიროვნებას. მერიის წინ ყოველდღიურად კრებენ 10-10 პიროვნებას და რაღაც თავდასხმის იმიტაციას აკეთებენ, – განაცხადა კახა ოქრიაშვილმა.

ოქრიაშვილი ვარაუდობს, რომ დაპირისპირება შესაძლოა ისევ მოხდეს. ფიზიკური დაპირისპირების შემდეგ ადგილზე პოლიციაც გამოიძახეს, უწყებამ გამოძიება დაიწყო, თუმცა, „მთავარის“ ინფორმაციით, საქმეზე ჯერ არავინ დაუკავებიათ.



ცესკო-ს განცხადებით, საარჩევნო ოლქში დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია, დამატებით ინფორმაციას კი უფლებამოსილებიდან გამომდინარე შეისწავლიან.

# ზვიად ძიძიგური: „ხელისუფლებამ დასავლური პოლიტიკის წესები უნდა დაიცვას“

როგორ უნდა იქნეს აღქმული ევროპარლამენტარების გზავნილები საქართველოს მიმართ, იყო ეს კრიტიკა, გაფრთხილება თუ რეკომენდაცია, ამის შესახებ „კონსერვატიული პარტიის“ ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა „დღის კურიერის“ ეთერში ისაუბრა.



ზვიად ძიძიგურის თქმით, იქნება ეს კრიტიკა თუ რეკომენდაცია, ნებისმიერ შემთხვევაში, დასავლელი პარტნიორების მხრიდან წამოსული გზავნილები საყურადღებოა და მნიშვნელოვანი საქართველოს ევროატლანტიკური განვითარებისთვის.

– რეკომენდაციას დავარქმევთ, კრიტიკას თუ გაფრთხილებას, ჩვენ როცა გვინდა ევროპულ დიდ ოჯახში შესვლა, ის თამაშის წესები, რაც არის დასავლურ პოლიტიკაში მიღებული, უნდა დაიცვას ხელისუფლებამ. ამისკენ მოგვიწოდებენ ჩვენი დასავლელი კოლეგები და ამაში მოულოდნელი და გასაკვირი არაფერი არაა.

ზოგი ღიზიანდება, რომ რა ევროპელების საქმეა, რა ამერიკელების საქმეა, როგორ მიდის ქვეყანაში ვითარება?! არის, როცა ჩვენ ვეუბნებით, რომ თქვენს სტრუქტურებში გვინდა გაწევრიანება, ისინი გვეუბნებიან, რომ თუ გინდათ გაწევრიანება, ის თამაშის წესები დაიცავით, რაც არის დასავლურ ქვეყნებში, ამიტომ მე ერთ რამეს ვიტყვი, რომ ამ არჩევნებზე გამადიდებელი შუშით აკვირდება ყველა, კეთილის მოსურნეც და მტერიც, როგორ ჩატარდება.

2020 წლის არჩევნებს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს არჩევნები თვისობრივად პირველია, მე მგონი, ბოლო 30 წლის განმავლობაში, რომელმაც შეიძლება კოალიციური მთავრობის შექმნამდე მიგვიყვანოს და უფრო მაღალ დონეზე აიყვანოს საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება და, ბუნებრივია, მაღალი ინტერესია ჩვენი დასავლელი კოლეგების მხრიდან, – განაცხადა ზვიად ძიძიგურმა.

შეგახსენებთ, ევროპარლამენტარები საქართველოს ხელისუფლებას გამჭვირვალე და სამართლიანი არჩევნების ჩატარებისკენ მოუწოდებენ.

განცხადებები ამ თემაზე ბრიუსელში, საქართველოს მიერ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციის შესახებ ანგარიშის განხილვისას გაკეთდა.

## ლევან რატიანი: „მკვეთრად კლებულობს მძიმე და ლეტალური პაციენტების რიცხვი“



– იზრდება ინფიცირებულთა რიცხვი, მაგრამ მკვეთრად კლებულობს მძიმე, კრიტიკული და ლეტალური პაციენტების რიცხვი, რაც შეიძლება რამდენიმე ფაქტორით იყოს განპირობებული, – ამის შესახებ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორმა, ლევან რატიანმა განაცხადა.

მისი თქმით, უფრო მეტად ხდება ინფიცირებულთა გამოვლენა, ვიდრე წინა პერიოდში იყო.

– ეს სიტუაცია კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ დადგება მომენტი, როდესაც ამ ბრძოლაში გაიმარჯვებს ადამიანის ორგანიზმი, – განაცხადა რატიანმა.

## საგამოძიებო სამსახურმა ერთი პირი დააკავა



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებთან კოორდინაციით, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მარკირებას დაქვემდებარებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით აქციზური საქონლის, აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვის ფაქტზე, ერთი პირი დააკავეს.

ჩხრეკის შედეგად ამოღებულია 15.013 კოლოფი სხვადასხვა დასახელების უაქციზო სიგარეტი, რომლის სავარაუდო ღირებულება 61.500 ლარს აღემატება. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ასევე ამოღებულია დაკავებულის მართვის ქვეშ მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალება.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მე-3 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 8 წლამდე ვადით.

## საქართველოს სავალუტო რეზერვები ისტორიულ მაქსიმუმზეა



საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, 31 აგვისტოს მდგომარეობით, ქვეყნის სავალუტო რეზერვებმა, $3.93 მილიარდ დოლარს გადააჭარბა, რაც საქართველოს სავალუტო რეზერვების მაქსიმალური მოცულობაა.

ბოლო სამი თვის განმავლობაში ქვეყნის სავალუტო რეზერვების მოცულობა $338.5 მილიონი დოლარით გაიზარდა, ამის მიზეზი საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიერ კოვიდ-19-ის კრიზისის პირობებში მოზიდული ახალი საგარეო ვალია.

მათ შორისაა საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამის ფარგლებში აღებული ვალდებულებები.

# „ტყუილს ვერ ვიტყვი, კანდელაკების ოჯახი ერეკლეს მიმართ სულ ყურადღებას იჩენდა“

## თარაშ კანდელაკი მოსამართლემ პატიმრობაში დატოვა



18 წლის ერეკლე თედლიაშვილი სამ თვეს ებრძოდა სიკვდილს. სამწუხაროდ, ის 12 სექტემბერს „ჯერარსის“ კლინიკაში გარდაიცვალა.

ახალგაზრდა 9 ივნისს გორში, სტალინის ქუჩაზე, რესტორან „ჯოსეფის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მძიმედ დააშავეს. სამი თვის განმავლობაში მას რამდენიმე ოპერაცია ჩაუტარდა, თუმცა ახალგაზრდის მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.

ამ საქმეზე სამართალდამცავებმა მსოფლიო ჩემპიონ გიორგი კანდელაკის ვაჟი, მოკრივე თარაშ კანდელაკი დააკავეს. სწორედ გიორგი კანდელაკია რესტორან „ჯოსეფის“ მფლობელი. როგორც თვითმხილველები ამბობენ, ჩხუბში 20-მდე კაცი მონაწილეობდა, რაც შემდგომ ახლომდებარე კორპუსთან გაგრძელდა.

გამოძიების ცნობით, ნასვამმა თარაშ კანდელაკმა ერეკლე თედლიაშვილს სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება მიაყენა. ამიტომ ბრალი 117-ე მუხლის პირველი ნაწილით წაუყენეს, რაც ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებას გულისხმობს. სასჯელი 3-დან 6 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

კვირის პალიტრა დაუკავშირდა ერეკლე თედლიაშვილის ბიძაშვილს, ადვოკატ თამარ თედლიაშვილს, რომელიც საქმის გამოძიებაშია ჩართული. როგორც დაზარალებული ოჯახის წარმომადგენელს, მას პროკურატურა საქმის გამოძიებაზე ინფორმაციას აწვდის.

– ერეკლე უმძიმეს მდგომარეობაში იყო. ისე გარდაიცვალა, გონზე არ მოსულა. არადა, იმედს არ ვკარგავდით, რომ გადარჩებოდა. პირველი კურსის სტუდენტი იყო. ორ კვირაში 19 წლის გახდებოდა.

– რა მოხდა იმ დღეს? ცნობილია, რომ კანდელაკი არ აღიარებს დანაშაულს.

– ეს დაცვის სტრატეგიაა, რომ არ აღიაროს დანაშაული. ამბობდა, რომ არ ახსოვს, რა მოხდა. კონფლიქტი რესტორანში მოხდა და გაგრძელდა ახლომდებარე კორპუსთან, სადაც ვიდეოკამერები არ არის. მხოლოდ მოწმეები იყვნენ და ისინი ამბობენ, რომ ჩხუბი იყო.

– კანდელაკის ოჯახისგან ამ პერიოდში მხარდაჭერას გრძნობდით?

– ტყუილს ვერ ვიტყვი, კი, ყურადღებას იჩენდნენ.

– თარაშ კანდელაკი და ერეკლე მეგობრები იყვნენ?

– არა, ერთმანეთს არ იცნობდნენ. ერეკლეს თავის არეში უმძიმესი ტრავმა და დაზიანებები ჰქონდა. პირველივე ოპერაცია გორში ჩატარდა, შემდეგ „ჯერარსში“ გადაიყვანეს საოპერაციოდ.

თარაშ კანდელაკი დანაშაულს რომ არ აღიარებს, მისი უფლებაა. არ ვიცი, ხვალ-ზეგ რა მოხდება. შესაძლოა შეუმსუბუქდეს სასჯელი, აღიაროს დანაშაული.

– კანდელაკის ადვოკატი ამბობს, რომ ერეკლეს გარდაცვალება მის პირველად ტრავმასთან არ არის დაკავშირებული. თვლის, რომ კანდელაკს ბრალი არ უნდა დაუმძიმდეს.

– ექსპერტიზა დანიშნულია და ყველაფერი გაირკვევა. რაც შეეხება ადვოკატს, ის ხომ არ იტყვის, რომ მისი დასაცავი პირი დამნაშავეა. ვადასტურებ, რომ ერეკლე სარეაბილიტაციოდ სხვა კლინიკაში გადაიყვანეს, მაგრამ მდგომარეობა დაუმძიმდა და ისევ გადმოიყვანეს. იმასაც გიდასტურებთ, რადგან საქმეზე გამოძიება დასრულებულია და არსებით განხილვაშია, კვალიფიკაციის შეცვლა ვერ მოხდება. გარდაცვალების ფაქტზე გამოძიება დაიწყო და რაც გაირკვევა, პროკურატურა იმის მიხედვით იმსჯელებს, წაუყენოს თუ არა ახალი ბრალი თარაშ კანდელაკს.

**ლანა ცერცვაძე, თარაშ კანდელაკის ადვოკატი:**

– მიზეზობრივი კავშირი პირველად ტრავმასა და გარდაცვალებას შორის არ არსებობს. კლინიკიდან პაციენტი სხვა კლინიკაში სარეაბილიტაციოდ გაეწერა. სწორედ იქ დამძიმდა – მისი სიკვდილი ასფიქსიასა და შემდგომში განვითარებულ ჰიპოქსიასთან არის დაკავშირებული. ამის დამადასტურებელია როგორც სამედიცინო ისტორია, ასევე მოწმეთა ჩვენებები, ანუ სამედიცინო პუნქტიდან მიღებული ჩვენებები.

გარდა ამისა, თარაშ კანდელაკის საქმე სასამართლოშია წარმართული და პროცესუალურად შეუძლებელია უკვე დასრულებულ საქმეზე ბრალის დამძიმება. არ არსებობს ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დაადასტურებს, რომ ეს შედეგი პირველადი მდგომარეობის გამო დადგა.

***– ერეკლე მიღებული ტრავმის შემდეგ გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა და ეს არ უკავშირდება მის ცემას?***

– როცა პაციენტი გორიდან კლინიკა „ჯერარსში“ გადაიყვანეს, მას ოპერაცია გაუკეთეს. მას შემდეგ დაიწყო დადებითი დინამიკა. გიდასტურებთ, რომ ვერბალური კომუნიკაცია არ შეეძლო, თუმცა ჟესტიკულაცია შეეძლო და მისი სასიცოცხლო ფუნქციები ნორმას შეესაბამებოდა. ამაზე ექიმის ჩვენებაც გვაქვს მოპოვებული. შემდგომ ერეკლე სარეაბილიტაციოდ სხვა კლინიკაში გადაიყვანეს და იქ დაეწყო ასფიქსია.

პაციენტი დამძიმდა, თუმცა ექიმების დადანაშაულება არასერიოზული განაცხადი იქნება. შემდგომ ისევ „ჯერარსში“ გადაიყვანეს და იქვე გარდაიცვალა. პირველად ტრავმასთან მდგომარეობის დამძიმება კავშირში არ არის. ამასთან, ჯერ ისიც არ ვიცით, ეს დანაშაული თარაშ კანდელაკმა ჩაიდინა თუ არა.

❖ ❖ ❖

გუშინ, 15 სექტემბერს, ერეკლე თედლიაშვილის ოჯახის სახელით ადვოკატმა განცხადება გააკეთა.

გარდაცვლილის მშობლები „ჯერარსის“ კლინიკას ბრალდებებს უყენებენ და ფიქრობენ, რომ სარეაბილიტაციოდ გაწერილი პაციენტის მდგომარეობა მალე დამძიმდა, რაც ფატალური შემთხვევის მიზეზი გახდა.

– ოჯახს ამ დროისთვის აქვს სამართლიანი პრეტენზია და შეკითხვები ერეკლეს მკურნალ ექიმთან და კლინიკასთან. რაც ყველაზე დიდ შეკითხვებს იწვევს და ძალიან საეჭვოს ხდის ზოგადად ექიმების კომპეტენციას, მოხდა ნებით თუ შეუგნებლად მათი მხრიდან, როდესაც რეანიმაციიდან მოხდა ერეკლეს გადაყვანა სარეაბილიტაციო ცენტრში, ფაქტობრივად მომაკვდავი ბავშვი გაწერა კლინიკამ სარეაბილიტაციოდ, – აცხადებს ერეკლე თედლიაშვილის ოჯახის ადვოკატი თამარ თედლიაშვილი.

განსხვავებული პოზიცია აქვს კლინიკის ხელმძღვანელობას.

– ჩვენებების მიხედვით იქნა გადაყვანილი სარეაბილიტაციო ცენტრში. რაც განვითარდა და როგორც განვითარდა, ამის პროგნოზირება წინასწარ, ქალა-ტვინის დაზიანებიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო. ყველა ჩვენება იყო თავის დროზე, რომ მოხსნილი აპარატიდან აღარ საჭიროებდა რეანიმაციას, აქტიურ ჩარევებს და ესაჭიროებოდა რეაბილიტაცია, – აცხადებს კლინიკა „ჯერარსის“ სამედიცინო დირექტორი და რეანიმაციის უფროსი დავით ყაზაიშვილი.

❖ ❖ ❖

გუშინვე გაიმართა თარაშ კანდელაკის სასამართლო

მოსამართლემ თარაშ კანდელაკი პატიმრობაში დატოვა.

სასამართლო პროცესზე მტკიცებულებების დასაშვებობაზე იმსჯელეს, თავად ბრალდებული კი დუმილის უფლებას იყენებს. მისი ადვოკატის თქმით, კანდელაკი უდანაშაულოა და ჩხუბის მონაწილეებს აშველებდა.

---

## შაქარაშვილის მკვლელობაში ბრალდებულებმა სასამართლო დატოვეს

ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის განზრახ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის ბრალდებით დაკავებულმა ხუთივე პირმა სასამართლო პროცესი პროტესტის ნიშნად დატოვა.

აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ერთ-ერთი ბრალდებულის, ნიკოლოზ რევაზიშვილის ადვოკატმა, შოთა კახიძემ განუცხადა.

როგორც ადვოკატი განმარტავს, ბრალდებულების პროტესტის მიზეზი მოსამართლის უკანონო გადაწყვეტილება გახდა.

კახიძის განცხადებით, მოსამართლე გასცდა პროკურატურის მოთხოვნას და იმაზე მეტი მტკიცებულებები ცნო დაუშვებლად, ვიდრე ამას პროკურატურა ითხოვდა.

გიორგი შაქარაშვილის განზრახ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის საქმეზე 5 პირი: ნიკოლოზ რევაზიშვილი, არჩილ გაგნიძე, ზ.ხ., ა.ქ. და ვახტანგ ჩიქოვანი არიან დაკავებული.

---

## თემქის კლინიკაში კანონიერი ქურდი ჩაი-ჩაი გარდაიცვალა

თბილისში ცნობილი „კანონიერი ქურდი“ ჯემალ შავლაძე 82 წლის ასაკში გარდაიცვალა.



ის გასულ კვირას საბურთალოს სასაფლაოზე დაკრძალეს. „კანონიერი ქურდი“ ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის შედეგად გარდაიცვალა. ის თემქაზე, საავადმყოფოში მკურნალობდა და იქვე გარდაიცვალა.

შავლაძეს კრიმინალურ წრეებში „ჩაი-ჩაის“ მეტსახელით იცნობდნენ. 1980-90-იანი წლების თბილისში ის საკმაოდ დიდი გავლენით სარგებლობდა გოგი ჩიქოვანთან და პაატა ჩლაიძესთან ერთად.

„ჩაი-ჩაი“ „კანონიერ ქურდად“ 28 წლის ასაკში, 1966 წელს ირაკლი იშხნელმა და გურამ მდივანმა „მონათლეს“.

თავად შავლაძემ კი კრიმინალური გვირგვინი დაადგა არაერთ თბილისელ „კანონიერ ქურდს“, მათ შორის მომღერალ ქეთა თოფურიას მამას, ანდრო თოფურიას.

---

## არჩილ გაგნიძე: „ყველაფერი სიყალბე და სიცრუეა, კაცი ვარ და გავუძლებ ამ ცხრათავიან უკანონობას“



ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის განზრახ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის ბრალდებით დაკავებული მორაგბე არჩილ გაგნიძე დუმილს არღვევს.

დაკავებული მორაგბე პირველად „ინტერპრესნიუსთან“ საუბრობს საქმის გარშემო და აცხადებს, რომ ის ხიდის ქვეშ არ იმყოფებოდა და გიორგი შაქარაშვილისთვის გზა არ მოუჭრია.

სააგენტოსთვის გაგზავნილ წერილში არჩილ გაგნიძე საზოგადოებას მიმართავს და ჰპირდება, რომ ის ამ საქმეში მის უდანაშაულობას დაამტკიცებს.

მორაგბის თქმითვე, ის გამოძიებასთან თავიდანვე თანამშრომლობდა და არანაირი სახის ინფორმაცია არ დაუმალავს.

„მინდა საზოგადოებას მივმართო და გავაგებინო, რომ ყველაფერს, რასაც ვხედავ ამ საქმის ირგვლივ, არის სიყალბე და სიცრუე. ვხედავ, როგორ ცდილობს ბრალდების მხარე ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე ჩვენი გამამართლებელი მტკიცებულებების განადგურებით და ყალბი მტკიცებულებების შექმნის მცდელობით ჩამოაყალიბონ ხალხის აზრი, რომ ჩვენ ვართ დამნაშავეები ცხონებული გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალებაში.

კიდევ ერთხელ გარწმუნებთ, რომ მე არასოდეს მქონია მცდელობა დამემალა რაიმე ინფორმაცია გამოძიებისათვის, პირიქით, მე მათ სრულად მივაწოდე ყველა ის ინფორმაცია და ასევე წარმოვუდგინე გაურეცხავი ტანსაცმელი, რომელიც მეცვა იმ დღეს. ასევე გადავეცი ჩემი ტელეფონი, რომლიდანაც წაშალეს ჩემი გადაადგილების ტრაექტორია, რაც ადასტურებდა იმას, რომ მე გადავედი ხიდზე მარჯვნივ და არ აწყობდა გამოძიებას, ვინაიდან ამით დამტკიცდებოდა, რომ მე არავისთვის მომიჭრია გზა და არც ხიდის ქვეშ ჩავსულვარ.

ყველაფერი ეს ემსახურება იმას, რომ ხალხში გააჩინონ განცდა, რომ მათ გამოიძიეს საქმე და პასუხისგებაში მისცეს დამნაშავეები.

ყოველივე ამას არანაირი შეხება არ აქვს მართლმსაჯულებასთან. მე კაცი ვარ და გავუძლებ ამ ცხრათავიან უკანონობას და გპირდებით, რომ აუცილებლად დავამტკიცებ ჩემს უდანაშაულობას“ – აცხადებს გაგნიძე.

---

## ორმაგი მკვლელობა ლარსში

### რა მოხდა ქართველ მამაკაცსა და რუსეთის მოქალაქე მამა-შვილს შორის




14 სექტემბერს მკვლელობა მოხდა ლარსის სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან – მოკლულია ორი ადამიანი.

ერთ-ერთი ვერსიით, მძიმე დანაშაულს წინ ურთიერთშელაპარაკება უძღოდა. მოკლულია ერთი საქართველოს და ერთიც – რუსეთის მოქალაქე.

ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, რუსეთის მოქალაქე მამა-შვილს შელაპარაკება მოუვიდათ საქართველოს მოქალაქესთან, რომელიც ნასვამ მდგომარეობაში იყო.

არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა მამაკაცმა დაჭრა რუსეთის მოქალაქე, რომელიც შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. მისმა შვილმა კი სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა საქართველოს მოქალაქეს.

მკვლელობის ბრალდებით 1980 წელს დაბადებული პირი ყაზბეგში დააკავეს.

მომხდარის შესახებ შსს-მ განცხადება გაავრცელა:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, 1980 წელს დაბადებული ვ.გ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით, ყაზბეგში დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მიმდინარე წლის 14 სექტემბერს, სასაზღვრო გამშვები პუნქტი „დარიალის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ურთიერთშელაპარაკებისას წარმოშობილი კონფლიქტის დროს, დაკავებული ვ.გ.-ს მამას – 1956 წელს დაბადებულ ა.გ.-ს საქართველოსა და რუსეთის ორმაგმა მოქალაქემ, 1981 წელს დაბადებულმა ა.მ.-მ მიაყენა ჯანმრთელობის დაზიანება, რის შედეგადაც ა.გ გარდაიცვალა.

ამის შემდეგ, გარდაცვლილი ა.გ.-ს შვილმა – ვ.გ.-მ, შურისძიების მოტივით, ცივი იარაღისა და ბლაგვი საგნის გამოყენებით მრავლობითი დაზიანება მიაყენა ა.მ.-ს, რასაც მისი გარდაცვალება მოჰყვა.

პოლიციამ ვ.გ. მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავა.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით.

---

## შინაგან საქმეთა მინისტრი ესპანეთის სამოქალაქო გვარდიის გენერალურ დირექტორს შეხვდა



შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური ესპანეთის სამოქალაქო გვარდიის გენერალურ დირექტორს, მარია გამეს გამესს შეხვდა.

მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს და სამომავლო გეგმებზე შეთანხმდნენ. შეხვედრაზე განსაკუთრებით აღინიშნა ორი ქვეყნის პოლიციის ატაშეების მიერ განხორციელებული წარმატებული საქმიანობა.

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ვლადიმერ ბორცვაძემ და ესპანეთის სამოქალაქო გვარდიის გენერალურმა დირექტორმა, მარია გამეს გამესმა ხელი მოაწერეს ორგანიზებული დანაშაულის თაობაზე ერთობლივი ანალიზის ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით პარტნიორობის შესახებ მემორანდუმს, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს მხარეების ერთობლივ ძალისხმევას ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კუთხით.

2020, 16 სექტემბერი, №195

# ნავალნი: „მთელი დღე დამოუკიდებლად ვსუნთქავდი“



რუსი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ალექსეი ნავალნი „ინსტაგრამის“ პირად გვერდზე საავადმყოფოში გადაღებულ ფოტოს და პირველ კომენტარს აქვეყნებს.

„გამარჯობა, მე ვარ ნავალნი. მენატრებით. ჯერჯერობით თითქმის არაფერი შემიძლია, მაგრამ გუშინ მთელი დღე დამოუკიდებლად ვსუნთქავდი. არანაირი დახმარება არ დამჭირვებია, ძალიან მომეწონა“ – წერს ნავალნი.

ექიმებმა ალექსეი ნავალნი ხელოვნური კომიდან რამდენიმე დღის წინ გამოიყვანეს. 14 სექტემბერს კი ცნობილი გახდა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა და ის ხელოვნური სუნთქვის აპარატიდან მოხსნეს.

ალექსეი ნავალნი 20 აგვისტოს ომსკის კლინიკაში მას შემდეგ მოათავსეს, რაც თვითმფრინავში თავი შეუძლოდ იგრძნო, 22 აგვისტოს კი ახლობლების მოთხოვნით, ბერლინის კლინიკაში გადაიყვანეს. ტრანსპორტირებიდან რამდენიმე დღეში გერმანიის მთავრობამ განაცხადა, რომ ნავალნი „ნოვიჩოკის“ ტიპის ნერვული აგენტითაა მოწამლული.

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო პოლიტიკის საკითხებში ჟოზეფ ბორელი ალექსეი ნავალნისთან დაკავშირებულ ინციდენტს მკვლელობის მცდელობად აფასებს და რუსეთის ხელისუფლებას აღნიშნული საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით სრული თანამშრომლობისკენ მოუწოდებს.

– ალექსეი ნავალნის მკვლელობის მცდელობას უმკაცრესად ვგმობთ. გერმანიის მთავრობამ დაადასტურა, რომ ბატონი ნავალნი სამხედრო ქიმიკატითაა მოწამლული. გუშინ კი ეს დასკვნა საფრანგეთისა და შვედეთის ლაბორატორიებმაც დაამოწმეს. არსებობს იმის უეჭველი მტკიცებულება, რომ ნავალნის მკვლელობის მცდელობისთვის „ნოვიჩოკის“ ჯგუფის ნერვული აგენტი გამოიყენეს, იმის მსგავსი, რომელიც სერგეი და იულია სკრიპალების მკვლელობის მცდელობისასაც გამოიყენეს, – აღნიშნა ჟოზეფ ბორელიმ ევროპარლამენტის სხდომაზე.

მისი განმარტებით, ქიმიური იარაღის გამოყენება, ნებისმიერ შემთხვევაში, საერთაშორისო კანონის დარღვევაა.

– ქიმიური იარაღის გამოყენება ნებისმიერი მხარის მიერ, ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ დროსა და გარემოებებში წარმოადგენს საერთაშორისო კანონის და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების სერიოზულ დარღვევას. კვლავ მოვუწოდებთ რუსეთის ხელისუფლებას, რომ ამ საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით სრულად ითანამშრომლოს, განსაკუთრებით კი „ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციასთან, – აღნიშნა ჟოზეფ ბორელიმ.

რუსეთი ნავალნის მოწამვლასთან კავშირს უარყოფს.

# პრინც ჰარისა და მეგან მარკლის სიტყვით გამოსვლის ფასი ცნობილი გახდა



სასექსის ჰერცოგი და ჰერცოგინია საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოსვლაში მილიონამდე დოლარს იღებენ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პრინცი ჰარი და მისი მეუღლე მეგან მარკლი მილიონ დოლარს ითხოვენ ონლაინსპიკერის რანგში სიტყვით გამოსვლაში. გაირკვა, რომ ვირტუალური ღონისძიების ორგანიზატორებმა მისაწვევ წერილში სამეფო ოჯახის წევრებისთვის უნდა მიუთითონ მათი მონაწილეობის პირობები და ჰონორარის თანხა.

ვირტუალურ ღონისძიებაზე მისაწვევი ოთხგვერდიანი ფორმა ასევე ითვალისწინებს ტექნიკური უწესრიგობის რისკსა და მსგავსი პრეცედენტების გადაწყვეტის ვარიანტებს. გარდა ამისა, საბუთში მოთხოვნილია ღონისძიების ყველა სპონსორის სია.

# გოგონამ მილიონიანი დაზღვევის გამო ხელი მოიჭრა

სლოვენიაში 22 წლის გოგონამ მილიონი ევროს ოდენობის დაზღვევის მისაღებად ხელი წრიული ხერხით მოიჭრა.

გოგონა, სახელად იულია ადლესიჩი, დასთანხმდა, მარცხენა ხელი მტევნის ზევით მოეჭრა და ეს თავის მეგობარ მამაკაცთან ერთად 2019 წლის დასაწყისში გააკეთა. იულია საავადმყოფოში გადაიყვანეს და განაცხადეს, რომ ტრავმა ხის ტოტების ხერხვის დროს მიიღო. ამასთან, მათ მოჭრილი ხელი საავადმყოფოში არ მიუტანიათ, რათა იულია სამუდამოდ დაინვალიდებულიყო. ამ შემთხვევამდე ერთი წლით ადრე გოგონამ ხუთ სადაზღვევო კომპანიასთან მოაწერა ხელი კონტრაქტს.

გოგონას დაზღვევის თანხის ნახევარი მაშინვე უნდა მიეღო, ხოლო დარჩენილ თანხას ყოველთვიური გადახდის სახით მიიღებდა. თუმცა პროკურატურამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ინციდენტამდე რამდენიმე დღით ადრე იულიას მეგობარი მამაკაცი ინტერნეტში ეძებდა ინფორმაციას, თუ როგორ მუშაობს ხელოვნური ხელი. ეს კი კიდევ ერთი მტკიცებულება აღმოჩნდა იმ ვერსიისა, რომ ეს მათ განზრახ გააკეთეს. სასამართლოზე გოგონამ განაცხადა, რომ უდანაშაულო იყო და შეგნებულად ხელის მოჭრას არასოდეს დასთანხმდებოდა.

– არავის სურს დაინვალიდება. ჩემი ახალგაზრდობა განადგურდა. 20 წლის ასაკში ხელი დავკარგე. მხოლოდ მე ვიცი, როგორ მოხდა ეს ყოველივე, – განაცხადა იულიამ სასამართლო პროცესზე.

სასამართლომ იულია თაღლითობაში დამნაშავედ ცნო და – ორი წლით, ხოლო მის მეგობარ მამაკაცს სამი წლით პატიმრობა მიუსაჯა.

# გერმანია საბერძნეთიდან 1.500-მდე ლტოლვილს შეიფარებს



გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი და შინაგან საქმეთა მინისტრი ჰორსტ ზიჰოფერი საბერძნეთის კუნძულებიდან 1.500-მდე ლტოლვილის მიღებას აპირებენ.

აღნიშნული 1.500 პირი ლტოლვილი ბავშვები და მათი ოჯახები არიან.

შეგახსენებთ, საბერძნეთის კუნძულ ლესბოსზე მიგრანტთა უდიდესი ბანაკი „მორია“ დაიწვა, რის შედეგადაც 12.000-ზე მეტი ლტოლვილი თავშესაფრის გარეშე დარჩა.

# ქალმა და კაცმა პარკში პორნო გადაიღეს და მიიმალნენ



შოტლანდიის ქალაქ დანბლეინის პოლიცია ეძებს იმ პირებს, რომლებმა პორნო გადაიღეს ქალაქის პარკში.

სამართალდამცავმა ორგანოებმა მიიღეს შეტყობინება, რომ ქალაქის პარკში ნახევრად შიშველ მდგომარეობაში მყოფი ქალი შენიშნეს, რომელიც მამაკაცის წინ სექსუალურ ქმედებებს ახორციელებდა, რომელიც მას კამერაზე იღებდა.

– ეს საზოგადოებრივი პარკია, – განაცხადა ადგილობრივმა მცხოვრებმა, – იქ დადიან ბავშვები და მოზარდები, ვარჯიშობენ. ასე რომ, ასეთ ადგილზე მსგავსი რამის ხილვა არ გვსურს.

იმ მომენტისთვის, როდესაც პოლიციელები ადგილზე მივიდნენ, კანონის დამრღვევებმა მიმალვა მოასწრეს. უკვე ორი კვირაა გამოძიება მიმდინარეობს, მაგრამ ეჭვმიტანილთა დადგენა ვერ მოხერხდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ჩინეთს კორონავირუსის ვაქცინა ნოემბერში ექნება




ჩინეთში კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინები საზოგადოებისთვის, შესაძლოა, მიმდინარე წლის ნოემბერში ან დეკემბერში გახდეს ხელმისაწვდომი.

ამის შესახებ ჩინეთის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის წარმომადგენელმა გუიჟენ ვუმ სახელმწიფო ტელევიზიასთან საუბრისას განაცხადა.

–კლინიკური ცდების მესამე ფაზა ძალიან კარგად ვითარდება და ვაქცინები საზოგადოებისთვის დაახლოებით ნოემბერში, ან დეკემბერში გახდება ხელმისაწვდომი, – განაცხადა ექსპერტმა.

მისივე თქმით, ვაქცინაცია თვითონაც ჩაიტარა და არანაირი გვერდითი მოვლენა არ გამოუწვევია. თუმცა, გუიჟენ ვუს არ დაუკონკრეტებია, რომელ ვაქცინაზე იყო საუბარი.

ჩინეთში კლინიკური გამოკვლევების ბოლო ეტაპს ოთხი პოტენციური ვაქცინა გადის.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ქალი დათანხმდა ცოლად გაჰყვეს მამაკაცს, რომელიც მის მოკვლას ცდილობდა

გერმანიის ქალაქ ბონის მკვიდრმა ქალმა სასამართლოს დარბაზში თანხმობა განაცხადა, რომ მზადაა ცოლად გაჰყვეს მეგობარ მამაკაცს, რომელიც მის მოკვლას ცდილობდა. ის რვა თვის ფეხმძიმეა და, სავარაუდოდ, ბავშვის მამა სწორედ ბრალდებული მამაკაცია. 47 წლის ანდეას ზ.-ს ბრალად ედება თავის ფეხმძიმე მეგობარ ქალზე მკვლელობის მიზნით თავდასხმა. ის 35 წლის კატერინა ბ.-ს თავს ხიშტით დაესხა, დაუსერა ლოყა და თავში დარტყმის მიყენება სცადა. მანამდე მამაკაცი ქალს სცემდა, ახრჩობდა და თმებით ათრევდა.

ქალი სასამართლო დარბაზში განცხადების შემდეგ, უკვე საცოლის სტატუსით სარგებლობს და უფლება აქვს, არ მისცეს ჩვენება განსასჯელის წინააღმდეგ. ამ დროისთვის მამაკაცის წინააღმდეგ გამოძიება გრძელდება.

## საზოგადოება

# მამუკა ლომაშვილი: „პოლიტიკოსების უმრავლესობისგან განსხვავებით, მსახიობი მაყურებელს არ ატყუებს!“



საბავშვო თეატრ-სტუდია მაჩაბელას დამაარსებელი მამუკა ლომაშვილი საჯაროდ აცხადებს, რომ მსახიობი პოლიტიკოსისგან განსხვავებით, მაყურებელს არ ატყუებს:

– პოლიტიკოსების უმრავლესობისგან განსხვავებით, მსახიობი მაყურებელს არ ატყუებს!

მსახიობს მისი გულწრფელობისთვის და კარგად ნათამაშები როლისთვის უკრავენ ტაშს, სადაც ის ენერგიას ბოლომდე ხარჯავს. პოლიტიკოსების უმრავლესობა კი ტაშს ტყუილისთვის და ადამიანების ემოციაზე მანიპულაციით იმსახურებთ.

დაუნ ვი დიქტეიტე! ჩვენ გვიყვარს ჩვენი პუბლიკა! თქვენ გჭირდებათ!

# ხელოვნების სასახლის პროექტი „ქსოვილი საქართველოდან“ საუკეთესოდ დასახელდა




საქართველოს ხელოვნების სასახლის პროექტმა „ქსოვილი საქართველოდან“ ევროპის საბჭოს XXI საუკუნის სტრატეგიის საუკეთესო პრაქტიკის ნომინაცია მიიღო.

სტრატეგია 21 ევროპის საბჭოს პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს XXI საუკუნეში ისეთი პრაქტიკების შესწავლას და მათ ონლაინ პლატფორმაზე გაზიარებას, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და პოპულარიზაციას უწყობს ხელს.

პროექტში 51 ქვეყანას შორის მოხვდა საქართველოც და ინიციატივა „ქსოვილი საქართველოდან“ სტრატეგია 21-ის ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკად დასახელდა.


## მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

## მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.


# ილიკო და ნინო სუხიშვილებს ილია ჭავჭავაძის პრემია მიენიჭათ

დასაწყისი მე-8 გვერდზე

პრემიის გაცემაზე და ლაურეატის დასახელებაზე გადაწყვეტილებას იღებს ფონდის სარეკომენდაციო საბჭო 9-კაციანი შემადგენლობით. მასში შედიან პოეტი ლია სტურუა, ლიტერატორი და კრიტიკოსი ივანე ამირხანაშვილი, დიპლომატი კონსტანტინე გამსახურდია, ისტორიკოსი დიმიტრი შველიძე, პოეტი ბაღათერ არაბული, ჟურნალისტი ნინო ზაუტაშვილი, დრამატურგი და პოეტი ნინო სადღობელაშვილი, რეჟისორი გიორგი სავანელი, დეკანოზი და კაპელანი გიორგი წეროძე. საბჭოს გადაწყვეტილებით, „ილია ჭავჭავაძის ეროვნული პრემია – საზოგადოების განვითარებისათვის გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისთვის“ 2020 წელს გადაეცათ ილიკო და ნინო სუხიშვილებს.

დაჯილდოების შემდეგ კი წარმოდგენილი იყო ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „საუკუნის მკვლელობა“. მისი ავტორი და რეჟისორია გიორგი სავანელი. სპექტაკლში მონაწილეობდნენ მსახიობები გიორგი იარაჯული, თეკა კოხრეიძე, ქეთევან შერვაშიძე, ასმათ ქურციკიძე, ვაკო კობერიძე, ლაშა ჩხვიმიანი, გიორგი გურული, თამარ ადამია, ნინა ჯაოშვილი და თორნიკე ჩიხლაძე.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ბანკის მენეჯერმა მითვისებული მილიონობით დოლარი საათებსა და ავტომობილებზე დახარჯა



ავსტრალიაში განაჩენი გამოუტანეს ბანკის მენეჯერს, რომელმაც კლიენტების მილიონობით დოლარი მიითვისა, შემდეგ კი ფული ძვირფას მანქანებსა და დიზაინერულ საათებში დახარჯა.

39 წლის ენდი ლი ოთხი წლის განმავლობაში იყენებდა თაღლითურ სქემას, რომელიც მას საშუალებას აძლევდა, თავისი კლიენტების ანგარიშებიდან თანხები გადმოეტანა. 2015 წლიდან მოყოლებული, ამ საქმიანობამ მენეჯერს ოთხი მილიონი ავსტრალიური დოლარი მოუტანა. აღსანიშნავია, რომ დაზარალებულებიდან ზოგიერთი ლის მეგობარი იყო, ორი მათგანი კი მის ქორწილსაც ესწრებოდა.

მამაკაცს ფული მდიდარი ადამიანის იმიჯის შესანარჩუნებლად სჭირდებოდა. სასამართლოზე ლიმ განმარტა, რომ ის მრავალი წლის განმავლობაში ცდილობდა, ყოფილიყო ისეთი, როგორიც სინამდვილეში არ იყო და ტყუილს სიმართლისგან აღარ ასხვავებდა. ის მითვისებულ მილიონებს უძრავ ქონებასა და რესტორნებში აბანდებდა, 26 დიზაინერული მაჯის საათი და ორი პორშეს მარკის ავტომობილი შეიძინა, ერთი თავისთვის, მეორე – საყვარლისთვის. მისი თქმით, ამით მასზე შთაბეჭდილების მოხდენა სურდა.

პარასკევს, 11 სექტემბერს, ლის შვიდი წლითა და რვა თვით პატიმრობა მიესაჯა. ის პირობით ვადამდელი გათავისუფლების უფლებას სამი წლისა და რვა თვის შემდეგ მიიღებს.

# ვეფხვმა ათი წლის ბავშვი სეირნობის დროს დაგლიჯა

ინდოეთის მახარაშტრას შტატის ქალაქ ნაგპურის მახლობლად მდებარე სოფელ კაპსიში ვეფხვმა ათი წლის ბავშვი მოკლა.

ადგილობრივი დროით დაახლოებით დილის ხუთ საათზე ათი წლის სანსკარ სატიშ ბურლე სასეირნოდ წავიდა. ამ დროს მას ბუჩქებში ჩასაფრებული ვეფხვი თავს დაესხა და ტყისკენ წაათრია.

ბიჭის მშობლებმა თანასოფლელებთან ერთად მისი ძებნა დაიწყეს და ტყეში ბავშვის დაგლეჯილ სხეულს მიაგნეს.

# უზრდელ თუთიყუშებს დამთვალიერებლებთან გამოჩენა აუკრძალეს



ინგლისის ლინკოლნშირის საგრაფოში მდებარე ველური ბუნების პარკში თუთიყუშებს, რომლებიც დამთვალიერებლებს ცუდი სიტყვებით მიმართავდნენ, მათ წინაშე გამოჩენა აუკრძალეს.

ზოოპარკის ხელმძღვანელმა სტივ ნიკოლსმა განაცხადა, რომ იძულებულნი გახდნენ, ხუთი თუთიყუში, რომლებიც პარკს მათმა მფლობელებმა გადასცეს, ჩაეკეტათ იმ უცენზურო სიტყვების გამო, რომლითაც ისინი დამთვალიერებლებს მიმართავდნენ. ნიკოლსის თქმით, როგორც ჩანს, თუთიყუშების პატრონებმა თვითიზოლაციის რეჟიმში ყოფნის დროს მათი ლანძღვა-გინება ველარ აიტანეს.

კერძოდ, თუთიყუშებმა ერთ-ერთ ზედამხედველს „მსუქანი ნაძირალა“ უწოდეს ხოლო დამთვალიერებლებს მიმართეს სიტყვით: „გაეთრიეთ“.

– ერთ-ერთმა გინება დაიწყო და დანარჩენებიც აჰყვნენ, – განაცხადა პარკის ხელმძღვანელმა.

ნიკოლსის თქმით, ფრინველებისთვის მნიშვნელოვანია რეაქციის გამოწვევა, ამიტომ ისინი ერთმანეთს აქეზებენ და იგინებიან, შემდეგ კი სიცილისგან იგუდებიან.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ბარსელონა თავდამსხმელს ეძებს



ბარსელონა მიმდინარე სატრანსფერო ფანჯრისას ცენტრფორვარდის ძიებაშია. რონალდ კუმანი ხელმძღვანელობას ეუბნება, რომ ახალი 9 ნომერი სჭირდება.

გეხსომებათ, ბარსას ნომერ პირველი სამიზნე თავდაპირველად ლაუტარო მარტინესი იყო, ამჟამად კი, მემფის დეპაი გახლავთ. კუმანს ნიდერლანდელი მოსწონს, კლუბს კი არგენტინელი, მაგრამ მთავარი საბოლოოდ მწვრთნელის სურვილია.

ესპანური მედია წერს, რომ „ბლაუგრანას“ კიდევ ერთი ვარიანტი გამოუჩნდა. ედინსონ კავანიმ ზაფხულში უკვე 2-ჯერ სცადა და ბარსელონას თავისი თავი შესთავაზა. 33 წლის ურუგვაელი ფორვარდი თავისუფალი აგენტია და კატალონიელებს მისი გაფორმება არ გაუჭირდებათ.

ბარსა სუარესის გაშვებას გეგმავს, რაც სახელფასო ბიუჯეტს გამოათავისუფლებს, მაგრამ კლუბს ლაუტაროს შესაძენად გეგმები აერია, დეპაის შემთხვევაში კი, 30 მილიონის გადახდასაც აჭიანურებენ და ცდილობენ ტრანსფერში უმტიტი ჩართონ, რათა მემფისი უფრო იაფად გაიფორმონ.

კავანი თვლის, რომ კუმანის გეგმებს მოერგება – უფასო ტრანსფერი, არც ისე მაღალი ანაზღაურება და ამასთან ერთად, ედინსონს ძირითადში გარანტირებულ ადგილზე პრეტენზიები არ ექნება.

როგორც მოგეხსენებათ, კავანი ბენფიკაში გადასვლასთან ახლოს იყო, თუმცა ლისაბონურ კლუბთან საბოლოო შეთანხმებამდე ცოტა დააკლდა. მხარეები საბოლოო დეტალებზე ვერ მორიგდნენ.

უახლოეს 10 დღეში ბარსამ ცენტრფორვარდის პრობლემა უნდა მოაგვაროს. ლაუტარო, დეპაი, სუარესი, კავანი – კატალონიელებს ფართო არჩევანი და ცოტა დრო აქვთ. ლა ლიგაში კუმანის გუნდის დებიუტი 27 სექტემბერს „კამპ ნოუზე“ ვილიარეალის წინააღმდეგ შედგება და მწვრთნელს ამ დროისთვის ახალი თავდამსხმელი სურს.

## შედეგები

14 სექტემბერი
ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| შეფილდი-ვულვზი | 0:2 |
| ბრაიტონი-ჩელსი | 1:3 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

| | |
|---|---|
| ტულუზა-სოშო | 0:0 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ზენიტი-არსენალი | 3:1 |
| როსტოვი-ლოკომოტივი | 0:0 |

**ბელგია. ა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბეერსხოტი-გენკი | 5:2 |

**თურქეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ჰატაი-ბაშაქშეჰირი | 2:0 |

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

| | |
|---|---|
| ჩენსტოხოვა-ზაგლებიე | 2:1 |

**დანია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ორხუსი-ვეილე | 4:2 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| კალმარი-ნორჩიოპინგი | 0:2 |
| ჰაკენი-სირიუსი | 1:1 |
| ესტერსტუნდი-იორებრო | 0:0 |

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

| | |
|---|---|
| ტპს-მარიეჰამნი | 1:1 |
| ლახტი-კუუპიო | 1:2 |
| ჰიფკი-ინტერი | 0:0 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ბებიამ შვილიშვილი საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა



ამერიკის ინდიანას შტატის ქალაქ ფორტ-უეინის მცხოვრები ხანდაზმული ქალბატონი ქარიშხლის დროს სახლის დანგრევისას შვილიშვილის გადარჩენის მცდელობისას დაიღუპა.

აგვისტოში ფორტ-უეინში დაიწყო ქარიშხლები. 73 წლის იზაბელ ატენსიო თავის შვილთაშვილ ჩეიზთან ერთად იმყოფებოდა სახლში იმ დროს, როდესაც ის ძლიერი ქარის გამო ჩამოინგრა.

ატენსიოს შვილთაშვილმა კეილი შოუმ განაცხადა, რომ ნანგრევებში მოყოლილი დიდი ბებია ხელში აყვანილი ჩეიზით იპოვა.

– მეზობელმა მომიყვა მომხდარის შესახებ და მეც იქით გავიქეცი. ვინ იფიქრებდა, რომ ის ბავშვს ხელში აიტაცებდა და ასე მაგრად ეყოლებოდა ჩაბღუჯული, რათა ჩეიზი გადაერჩინა, ის ნამდვილი გმირია, – ხაზგასმით აღნიშნა შოუმ. ატენსიო იმ ღამეს დაიღუპა და საკუთარი სიცოცხლის ფასად შვილთაშვილი გადაარჩინა.

ქალაქ ფორტ-უეინის სახანძრო სამსახურმა ატენსიო სიკვდილის შემდეგ მისი გმირული საქციელისთვის სერტიფიკატით დააჯილდოვა.

# მამაკაცმა სასადილოდან ბავშვის გატაცება სცადა



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მამაკაცი შეეცადა, გაეტაცებინა ოთხი წლის გოგონა, რომელიც დედასთან და დასთან ერთად სასადილოში იმყოფებოდა. მამაკაცი დაწესებულების ერთ-ერთმა მომხმარებელმა ადგილზევე დააკავა.

24 წლის ბოროტმოქმედი დაწესებულების მოაჯირზე გადახტა და ბავშვს კისერში სტაცა ხელი, მაგრამ სასადილოს მეორე მომხმარებელმა სწრაფი რეაგირების წყალობით მამაკაცი იატაკზე დააგდო, დანარჩენმა მომხმარებლებმა კი პოლიცია გამოიძახეს.

ბავშვი და მისი ოჯახის წევრები ამ ინციდენტის შედეგად არ დაშავებულან. დედამ ბავშვები ვერანდიდან სასწრაფოდ დაწესებულების შენობაში შეიყვანა, ხოლო ცხვირგატეხილი ბოროტმოქმედი პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. მას არასრულწლოვნის მოტაცების მცდელობისთვის პატიმრობა ემუქრება.

# სამგლოვიარო განცხადებები

ნინო და დავით დოლონაძეები, ნინო, თამარ და ავთანდილ ქავთარაძეები ოჯახებით, მარიკა და ქეთინო სოხაძეები ოჯახებით, მაია და ნუგზარ ჩხიკვაძეები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ მათთვის ძვირფასი ადამიანის, ღვაწლმოსილი პედაგოგის, ქალბატონი

**მზია ქავთარაძის**

გარდაცვალების გამო.

გულითადად თანაუგრძნობენ ამ დიდი მწუხარების ჟამს შვილს გიორგი ყორშიას, დას მეგი ქავთარაძეს და ყველა ახლობელს.

მეუღლე დავარი, შვილები მამუკა და მაია სიხარულიძეები, შვილიშვილები ბექა, ლია, ილია, რძალი სოფიო ღვალაძე, ცოლისდა დალი ომიაძე, ოჯახის ახლობლები და მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ზაურ ილიას ძე სიხარულიძე**

პანაშვიდი: 15, 16 სექტემბერს.
გამოსვენება: 17 სექტემბერს.
მისამართი: ქ.თბილისი, ზოვრეთის ქ. №11.
დაკრძალვა 17 სექტემბერს, 15 საათზე, საბურთალოს სასაფლაოზე.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ჰორიზონტალური კუთხეების გასაზომი გეოდეზიური ხელსაწყო; 2. მსხლის ფორმის მქონე ზეთით მდიდარი ტროპიკული მცენარე; 3. უნივერსიტეტი ინგლისში; 4. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 8. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ოქრომჭედელი; 9. დოკუმენტის მეორე ცალი, რომელსაც იურიდიული ძალა აქვს; 11. სუპერმარკეტი თბილისში; 12. კათოლიკური მღვდელთმსახურება; 14. აზრი, ჩანაფიქრი; 16. სისხლის უწვრილესი სადინარი; 17. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 19. აბანოს მოსამსახურე პირი; 21. შხამიანი გველი.

**თარაზულად:** 5. ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია გარეგან გაღიზიანებაზე; 6. სავაჭრო საქმიანობა; 7. ქართველი პოეტი ქალი; 10. სპექტრის ერთ-ერთი ფერი; 13. მაროკოს დედაქალაქი; 15. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი, კინორეჟისორი; 18. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 20. პატარა სახელოსნო-მაღაზია იტალიაში; 22. წყვილთა ჩქარტემპიანი სამეჯლისო ცეკვა; 23. წინსვლა, აღმავლობა; 24. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰარიერი; 2. ძეფირელი; 3. ალიგოტე; 5. მარიჯანი; 7. მილიცია; 9. კონვულსია; 13. რაზდანი; 15. სულიკო; 16. პოპოლო; 18. დრაჟე.

**თარაზულად:** 4. სალამური; 6. სტენდალი; 8. ჩიბურდანიძე; 10. კვირიკე; 11. ნოტა; 12. დიჟონი; 14. ისანი; 17. ქლესა; 19. კლოპი; 20. კორუფცია; 21. აიდა; 22. პოსეიდონი; 23. კეტჩერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ზუროსი; 2. ონაგატა; 3. მაშავერა; 4. კლაიპედა; 8. მონასტერი; 9. კონტრასტი; 11. ეტიკეტი; 12. იენი; 14. ორლი; 16. კოლექცია; 17. მეტონიძე; 19. ფროიდი; 21. ნოკია.

**თარაზულად:** 5. ბაიადერა; 6. პარაბოლა; 7. პასტორალი; 10. პერონი; 13. პანედა; 15. სნუკერი; 18. გოგენი; 20. ბატუტი; 22. პროვიზორი; 23. ბილბორდი; 24. ცირეკიძე.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

16 სექტემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1308

ევრო — 3.7178

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0322

100 რუსული რუბლი — 4.1641

## ამინდის პროგნოზი 16 სექტემბრისათვის




## კრისტოფ მეტცელდერი ბავშვთა პორნოგრაფიის გავრცელებაში დაადანაშაულეს



გერმანიის ნაკრების და შალკეს ყოფილ მცველ კრისტოფ მეტცელდერს ბავშვების პორნოგრაფიის გავრცელებაში ბრალი წარუდგინეს.

მეტცელდერის მობილურზე 300 მსგავსი ტიპის ფაილი იპოვეს.

თვითონ ფეხბურთელი ბრალს აღიარებს.

მეტცელდერი თავის დროზე გერმანიაში ერთ-ერთ საუკეთესო მცველად ითვლებოდა და ერთი პერიოდი ის მადრიდის რეალშიც თამაშობდა, თუმცა იქ ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება ვერ შეძლო.

## არტურო ვიდალი კარიერას ინტერში გააგრძელებს



ბარსელონას ჩილელი ნახევარმცველი არტურო ვიდალი კარიერას ინტერში გააგრძელებს და ის უკვე მილანში იმყოფება, სადაც სამედიცინო შემოწმებას გაივლის და კონტრაქტს ხელს მოაწერს. ვიდალის წლიური ანაზღაურება 6 მილიონი ევრო იქნება, რაც დაახლოებით იგივე თანხაა, რასაც ის ბარსელონაში იღებდა.

ვიდალმა ბარსელონასთან კონტრაქტი თავისი სურვილით გაწყვიტა და ამის გამო ის კომპენსაციას არ მიიღებს.

ბარსელონამდე ვიდალი ბაიერნის ღირსებას იცავდა.

## ტიაგო ალკანტარა შესაძლოა იუვენტუსის ფეხბურთელი გახდეს



მიუნხენის ბაიერნის ბრაზილიელი ნახევარმცველი ტიაგო ალკანტარა გუნდში გაჩერებას არ აპირებს და მისი ყიდვით რამდენიმე გუნდია დაინტერესებული. ყველაზე რეალური ვარიანტი ტურინის იუვენტუსია, სადაც ტიაგოს თვითონაც სურს თამაში, თუმცა ჯერ გუნდები არ შეთანხმებულან.

ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტიაგო ბარსელონაში აპირებდა დაბრუნებას, მაგრამ თვითონ კატალონიურმა გუნდმა ეს ინფორმაცია უარყო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## ასტროპროგნოზი

### 16 სექტემბრისათვის



**ვერძი** — ფინანსური ოპერაციებისას სიფრთხილე და თავშეკავება გამოიჩინეთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კურო** — ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის შესაფერისი პერიოდია. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** — დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **კირჩხიბი** — ახლობლებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **ლომი** — კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, შემოქმედი ადამიანებისათვის. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **ქალწული** — თუ გაწყენინეს, შურისძიებაზე არც იფიქროთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** — ზედმეტი თავდაჯერებულობაც და გაუბედაობაც დაგაზარალებთ. ზომიერება დაიცავით. **ღრიანკალი** — კრიტიკული დღეა. განერვიულებული და გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **მშვილდოსანი** — პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. **თხის რქა** — იღბალი თქვენ მხარესაა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **მერწყული** — სიყვარულში ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით თითოეული წამით. **თევზები** — ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი

გამყიდველი მალაზიაში შესულ გოგონას ეკითხება:

— აბა, რა სურს მშვენიერ გოგონას?

— მშვენიერ გოგონას სურს შამპანური, მაგარი მამაკაცი და მუდმივი სექსი, მაგრამ ახლა მხოლოდ პურის საყიდლად მოვედი...

•••

ორკვირიანი მივლინებიდან დაბრუნებული დედა შვილს ეკითხება:

— მამა მოწყენილი იყო, სახლში რომ არ ვიყავი?

— თავიდან არა, მაგრამ ბოლო ორ დღეს ძალიან მოიწყინა.

•••

ორნი საუბრობენ. ერთი მეორეს ეკითხება:

— როგორ ახერხებ მოდუნებას?

— სხვების დაძაბვით.

•••

რუსულ სკოლაში მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:

— აბა, მიპასუხე, გიყვარს ჩვენი პრეზიდენტი?

— დიახ, მასწავლებელო. ისევე მიყვარს, როგორც ჩემი მშობლები.

— რატომ?

— ჩვენთან პრეზიდენტს, ისევე, როგორც მშობლებს, არ ირჩევენ!

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

— შენი ახლობელი ამბობს, რომ ფირმაში 100 ათასი დასაქმებული ჰყავს, მართალია?

— მეფუტკრეა, მეფუტკრე...

•••

ერთი მამაკაცი მეორეს ეუბნება:

— მიჭირს ქალის გარეშე ცხოვრება, გესმის ჩემი? მისი სხეულის სითბოს, ყურადღების, მზრუნველობის გარეშე.

— მერე მოძებნე შენთვის ასეთი ქალი.

— და ცოლს რა მოვუხერხო?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ქორეოგრაფებმა პარლამენტის წინ აქცია გამართეს



ქორეოგრაფებმა თბილისში, პარლამენტის წინ საპროტესტო აქცია გამართეს და მოუწოდეს მთავრობას, არ მოკლას კულტურა.

ქორეოგრაფიულმა გილდიამ, კულტურისა და ხელოვნების მსახურებმა საჯაროდ ისაუბრეს დარგში შექმნილი პრობლემების შესახებ და სთხოვეს მთავრობას, მისცეს რეგულაციების დაცვით მუშაობის უფლება!

როგორც აქციაზე ითქვა, ეს არ იქნება ერთჯერადი პროტესტი, ქორეოგრაფები მთავრობისთვის თავის შეხსენებას ინტენსიურად აპირებენ.

## ინდირა ჯგერნაია: „კარგა ხანს ვიყავი ჩუმად კოვიდ19-ზე“



აცხადებს მომღერალი ინდირა ჯგერნაია და ფართო საზოგადოებას საკუთარ გამოცდილებას უზიარებს:

— კარგა ხანს ვიყავი ჩუმად კოვიდ19-ზე, უბრალოდ მეტს ვეღარ მოვითმენდი, უნდა მეთქვა, მჯერა და ვიცი, რო არსებობს დაუდასტურდა რამდენიმე ჩემს ნაცნობს, მაგრამ რაა მერე? ადამიანები ჩვეულებრივ უსიმპტომოდ გრძნობენ თავს, დაღლილები არიან უბრალოდ თეთრ ხალათიანებით, რომლებიც ფსიქოლოგიურად ცდილობენ რო დაამუშაონ საწყალი ხალხი.

სად იყავით, ხალხო, პანიკაში, მე რო იანვარში გვერდები მტკიოდა, სიცხით რო ვიწვებოდი, არც ყნოსვა მქონდა და არც გემო, ჩემი შვილი ორივე ახალი წელი საავადმყოფოში მშრალი ხველით და 40 ტემპერატურით და ზუსტად ორ კვირაში დედაჩემი იგივე სიმპტომებით. ეს სწორედ ის პერიოდია, საზღვრები რომ ღია იყო და ჩინეთში რომ მძვინვარებდა.

ვინ მეტყვის ან ვინ გამოგვიკვლევს, რომ არ გადავიტანეთ? ჩემს ნაცნობებს, ვისაც კარანტინში ვესაუბრები, ერთ ტაბლეტ წამალსაც არ ასმევენ იმიტომ, რომ არიან უსიმპტომოები!

დასკვნა: კორონა არ კლავს თუ ხარ ჯანმრთელი და თუ კი სხვა დაავადება აქვს ადამიანს, თავადვე უნდა გაფრთხილდეს. ხო გინდოდათ, რო გვესწავლა კორონასთან ცხოვრება? ჰოდა, ვისწავლეთ. ის დაჯდეს სახლში, ვისი იმუნიტეტიც სუსტია და მართლა ძაანაც ნუ მოგინდებათ ამ ხალხის დაჩლუნგება.

შევწუხდით! მოგვბეზრდა! გვაცადეთ ნორმალური ცხოვრება! ჩემმა საკუთარმა დამ შვედეთში კორონიან ადამიანთან ერთად ზურგი ზურგ ერთ სივრცეში იმუშავა, მეც ვიყავი გარკვეული პერიოდი პანიკაში, სანამ გავერკვეოდი ბევრ რამეში. შვედეთმა არც თავიდან არ დაკეტა, არც კი შეიმჩნია ეს ვირუსი, მართლა სად ვცხოვრობთ ხალხო, რატო ხართ ჩუმად?

## ალექსანდრე ბეგალიშვილი: „არასოდეს არც ერთ მთავრობას არ ვწყალობდი!“



მსახიობი ალექსანდრე ბეგალიშვილი არ მალავს, რომ პოლიტიკოსებს არ სწყალობს და დარწმუნებულია, რომ ყველა ყოველთვის სათავისოდ გვაბოლებს:

— არასოდეს არც ერთ მთავრობას არ ვწყალობდი და ვხედავდი, რომ ყოველთვის ყველა თავისებურად გვაბოლებდა და ყველა მთავრობას ეკიდა ხალხი, მაგრამ რასაც დღეს, XXI საუკუნეში ვხედავ, არ ვიცი — მთავრობას ასე არ უყვარდეს, ასე ეკიდოს და ეზიზღებოდეს თავისი მომავალი თაობა და ზოგადად მომავალი და პროგრესი — არ ვიცი.

გაუმაძღარი და ამოუპირავი უგემოვნო და უინტელექტო ეგოისტების დოლს ვხედავ. 90-იანების რაფინირებული ვერსიები. ისინი თუ ფიზიკურად გვინადგურებდნენ თაობას, თქვენ მორალურად და ფსიქოლოგიურად, ფიზიკურადაც კაცო, ანადგურებთ. და ფორმის შეცვლით გგონიათ რამეს ცვლით თქვე ყ..ებო?

## ილიკო და ნინო სუხიშვილებს ილია ჭავჭავაძის პრემია მიენიჭათ



ანსამბლ „სუხიშვილების ხელმძღვანელებს ილიკო და ნინო სუხიშვილებს ილია ჭავჭავაძის პრემია მიენიჭათ.

ჯილდო მათ პროექტის „დღე, როცა ვერ მოჰკლეს ილია“ ეგიდით მიიღეს, რომელსაც საზოგადოებრივი გაერთიანება „ეროვნული იმპერატივი“ წლებია ახორციელებს. ღონისძიება ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღეს ეძღვნება.

მის ფარგლებში ყოველწლიურად იმართება სხვადასხვა სახის შემეცნებითი და კულტურული აქტივობები და „ილია ჭავჭავაძის საქველმოქმედო ფონდის“ ჯილდოს „ილია ჭავჭავაძის ეროვნული პრემია – საზოგადოების განვითარებისათვის გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისთვის“ გადაცემის ცერემონია.

დაჯილდოების ცერემონია წელს რუსთაველის გამზირზე პირველი გიმნაზიის წინ მოწყობილ ღია სცენაზე შედგა. 2017 წელს დაარსებული პრემიის პირველი მფლობელი გახდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, შემდგომში კი მწერალი როსტომ ჩხეიძე და „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია – სოვლაბი“. წელს პრემია მეოთხედ გაიცა და მისი მფლობელები ილიკო და ნინო გახდნენ.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. პატიმრობა ძალიან მკაცრ პირობებში; 2. ქართველი ნიჩბოსანი მამაკაცი, ევროპის ჩემპიონი; 3. მსხლის ფორმის მქონე ზეთით მდიდარი ტროპიკული ხილი; 5. ტყვედ წაყვანილი ქართველებისგან შემდგარი ჯარი ოსმალეთში; 7. მადრიდის „რეალის“ ფრანგი ფეხბურთელი; 9. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 13. სიცილიური სადესერტო ღვინო; 15. კონტინენტებს შორის მოქცეული წყლის დიდი სივრცე; 16. პიტნითა და ყინულით შეზავებული რომი ან ვისკი; 18. მღრღნელი ჭია, მატლის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად**: 4. საბილიარდოს მომსახურე პირი; 6. ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებელი; 8. დანიის დედაქალაქი; 10. საკარმიდამო მამული ბრაზილიაში; 11. პოლონეთის პრეზიდენტი; 12. ცნობილი ქართველი ინფექციონისტი, პროფესორი; 14. ბაგირზე დაკიდებული საცალფეხო ხიდი მდინარეზე; 17. კუთხე საქართველოში; 19. ოპერა „ატილას“ კომპოზიტორი; 20. დანადგარი, რომელშიც ხორციელდება ატომგულის გაყოფის ჯაჭვური რეაქცია; 21. ქართული გაზეთი; 22. სამძებრო პოლიციის აგენტი; 23. შიიტთა უმაღლესი სასულიერო პირი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

